



**საქართველოს უზენაესი
სასამართლოს
ერთგვაროვანი პრაქტიკა
ადმინისტრაციულ საქმეებზე
(2016 წელი)**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი

2018



**Uniform practice of the
Supreme Court of Georgia
on administrative cases**

(2016)

**The Supreme Court Of Georgia
National Court Practice Study and Generalization Unit**

Tbilisi
2018

შემდგენლები:

ლიანა ლომიძე

სანდრო ჯორბენაძე

სტილისტ-რედაქტორი

თეა მაისურაძე

ტიქნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი

ინგლისურ ტექსტზე იმუშავა

ნინო შონიაშ

© ლიანა ლომიძე, 2018

© სანდრო ჯორბენაძე, 2018

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018

ISBN 978-9941-8-0489-2

The Collection was compiled by

Liana Lomidze

Sandro Jorbenadze

Style Editor

Tea Maisuradze

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvili

English Version Editor

Nino Shonia

© **Liana lomidze, 2018**

© **Sandro Jorbenadze, 2018**

© **Supreme Court of Georgia, 2018**

ISBN 978-9941-8-0489-2

შემდგენლობისგან

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს. საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს კანონის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრებასა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი არეგულირებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობას, რომლისთვისაც ძირითად კრიტერიუმს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ინტერესი წარმოადგენს. სასამართლოს გადანყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას. აღნიშნული, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. ამასთანავე, გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც უმნიშვნელოვანესი ელემენტია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

თითოეული გადანყვეტილების უკან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს, როგორც ნორმის განმარტების ფუნქციის მატარებელი ინსტანციის მნიშვნელობა დგას.

ამდენად, სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმების განმარტების, მათი ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებისთვის.

სასამართლომ უნდა გამოიყენოს ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა განყენებულად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ქრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა.

საკასაციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს, რადგან მართლმსაჯულება შებოჭილია კანონით. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2016 წლის პერიოდში გაუქმებული საქმეების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოების ტიპური შეცდომები. მასალის განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად საკასაციო სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისას კვლავ ვლინდება დარღვევები, რაც გამოიხატება როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

წინამდებარე კრებულში შესული გადაწყვეტილებები დალაგებულია თემატურად, ყოველ მათგანს წინ ერთვის მცირე განმარტება, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეებს დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

FROM THE COMPILERS

The Supreme Court of Georgia is the highest and the last instance cassation court of justice throughout the country, which supervises the administration of justice in the courts of general jurisdiction by the established procedure, carries out other authorities provided by the Constitution of Georgia and by the law of Georgia on “General Courts”. Role of the Court of Cassation in the administration of justice and the establishment of the rule of law principles is very important, because it contributes to a uniform interpretation of the law and the establishment of a common judicial practice.

Article 34 of the Administrative Procedure Code, governs the admissibility of the cassation appeal, for which the main criterion is interest of establishing uniform judicial practice. The right to appeal to higher court performs preventive role and on the one hand provides an effective mechanism for the protection of the right and ensures to prevent possible errors. On the other hand, creates an opportunity to correct mistakes. At the same time, the perfect realization of the right to appeal contributes to the establishment of a uniform court practice, which is a crucial element of a quick and effective justice.

Behind to every judgment is standing a common judicial practice and the Supreme Court, as an instance with the function of the legal norm interpretation.

Thus, the court practice is important for the interpretation of the legal norms, for their uniform application practices.

The court must apply such rules, according to which the law should be interpreted in the legislature’s purpose and in the context of its possible implementation.

Law definition is based on certain principles: the principle of impartiality, which means that the definition should be based on the text of the law and reflect the will of the legislator; Principle of unity - each provision should be read not in isolation, but rather in a systematic, logical way from the light of the text of the law; Principle of Genetic interpretation - the legislature’s intention and purpose should be taken into account.

The Court of Cassation has repeatedly pointed out, that from the principle of separation of legislative and judicial power, it is important in interpreting the provision, that the court does not go beyond the limits of the law, because justice is limited by law. This basic principles are enshrined in Article 84 of the Constitution, which states, that a judge shall be independent and subject only to the Constitution and law. Based on the foregoing, under the principle of separation of powers, the Court does not have law-making function, it only defines the provision in the auspices of the relevant law.

Typical errors of the lower courts were analyzed based on the study of canceled cases of 2016 by the chamber of administrative cases of the Supreme Court. Generalization of the material showed, that despite the established practice of the Court of Cassation, the Court of Appeal by reviewing the cases, are still open to occurring flaws, which are reflected in the misuse of the applicability and interpretation of both procedural and substantive law.

საკიებელი

შემოკლება	12
მუხლოვრივი საკიებელი	14
შესავალი	15
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მიერ 2016 წელს საკანონმდებლო საჩივრების საფუძველზე არსებითად განხილული საქმეების შედეგები	16
ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური ნორმების არასწორი გამოყენება ან განმარტება	
1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი	
1.1. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება განახორციელოს უფლებამოსილება კანონის საფუძველზე	16
1.2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება; ხელშეკრულების დადებულად ცნობა და ვალდებულების შეუსრულებლობისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება	19
2. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები	
2.1. მოხელის სამსახურში მიღება განსაზღვრული ვადით	21
2.2. ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის წესი	23
2.3. საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი, კონკურსის მონაწილის შეფასების წესი, კონკურსის შედეგები	25
2.4. კუთვნილი გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება	27
2.5. ანაზღაურებადი შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის გამონაკლისი შემთხვევა; პოლიციის ორგანოებიდან დათხოვნის შემთხვევაში გამოუყენებელი ყოველწლიური ფასიანი შვებულების ანაზღაურების საკითხი	28
2.6. მოხელის უფლების დაცვა; მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში	30
2.7. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის	32
2.8. სამსახურიდან განთავისუფლება საჯარო დანებსებულების რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით; მოხელის გაფრთხილება განთავისუფლების შესახებ	33
2.9. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველები	35
2.10. უკანონოდ განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	37
2.11. იძულებითი განაცდურის ოდენობის განსაზღვრა	39
2.12. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შეუძლებლობის შემთხვევაში უკანონო ადმინისტრაციული აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	41
2.13. მიუღებელი ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების წესი	43
3. სოციალური უზრუნველყოფის საკითხები	
3.1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრთათვის კომპენსაციის მიღების უფლება	45
3.2. კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენების შესაძლებლობა	47
4. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაცია	
4.1. საჯარო რეესტრში არსებულ რეგისტრაციაზე უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის მოქმედების ფარგლები	49

4.2.	საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის წესი	51
4.3.	ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციის განხორციელების დაუშვებლობა; კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე	53
4.4.	საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლები	55
4.5.	საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დამატებითი პირობები; სარჩელის უზრუნველყოფისა და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციების განსხვავება	56
5.	მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და უპირავი ქონების რეგისტრაცია	
5.1.	ერთ ნაკვეთზე ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების დაუშვებლობა	59
5.2.	მიწის რეგისტრაციის კანონიერების შემოწმება	61
5.3.	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვა	62
6.	საგადასახადო და საბაჟო ღირებულებები	
6.1.	საგადასახადო ორგანოსგან მამკვიდრებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობა	64
6.2.	გასვლითი საგადასახადო შემოწმება	66
6.3.	საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებისა და საგადასახადო მოთხოვნის ერთდროულად გასაჩივრება	67
6.4.	საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შემცირებისას ახალი კანონით განსაზღვრული შემსუბუქებელი პასუხისმგებლობის გამოყენება	69
6.5.	ავტოგასამართ სადგურებში მარიგებელი სვეტის მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმის დაღუქვის აუცილებლობა	72
6.6.	შემოსავლების სამსახურის ბრძანების გასაჩივრების წესი	73
7.	სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე ღირებულებები	
7.1.	მშენებლობის ნებართვის გაცემა; სასამართლო კონტროლი დისკრეციულ უფლებამოსილებაზე	75
7.2.	დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებისა და წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობა და განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამობა	76
7.3.	პასუხისმგებლობა სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოებისა და დოკუმენტაციის სისწორისათვის, უსაფრთხოების რეგლამენტი	78
7.4.	პირველი კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობის წესი	79
7.5.	მშენებლობის დასრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის საპატიოდ მიჩნევა	81
7.6.	სამშენებლო სამართალდამრღვევის განთავისუფლება პასუხისმგებლობისაგან	82
8.	სხვადასხვა კატეგორიის ადმინისტრაციული ღირებულებები	
8.1.	სახელმწიფო საშინაო ვალის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრა	84
8.2.	ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა	86
8.3.	ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება; ნორმის უკუძალის მინიჭების პრინციპი	88
8.4.	დაცვითი საქმიანობისა და ობიექტზე მეთვალყურეობის მომსახურების განსხვავება	89

8.5. უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა; „საპოლიციო გამოსახლების“ ინსტიტუტის გაუქმება	91
8.6. საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლა	92
9. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების გამოყენება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე	
9.1. მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები	94
9.2. გირავნობის უფლება სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე	96
9.3. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი; დევენილის სტატუსის მინიჭების საფუძველი	98
9.4. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი	100
9.5. დელიქტით გამონვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა	102

ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო ნორმათა დარღვევა

1. სასამართლო მტკიცებულება

1.1. მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები; ექსპერტიზის დასკვნის სავალდებულობა მტკიცებულებათა შეფასებისას; სადავო აქტის გადაუწვეტლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები	105
1.2. ექსპერტიზის დასკვნის შეფასება სასამართლოს მიერ	107

**2. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის
სასამართლოში**

2.1. კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების განსჯადობა	108
2.2. სადავო საკითხის გადაუწვეტლად ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები	110

**3. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, კანონიერ ქალაქი
შესული გადაწყვეტილების გაუქმების შეზღუდვა**

3.1. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	111
3.2. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველი	112
3.3. გადაწყვეტილების არასრული დასაბუთება, როგორც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი	114

4. პროცესის ხარჯები

პროცესის ხარჯების განაწილების წესი	115
დასკვნა-რეკომენდაცია	116
ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზის და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების შედეგად გათვალისწინებული საერთო რეკომენდაციები	118
რეკომენდაციები შრომის ურთიერთობებთან დაკავშირებულ საქმეებზე	119
რეკომენდაციები საჯარო რეესტრის მონაცემებთან დაკავშირებულ საქმეებზე	121
რეკომენდაციები მინის კანონმდებლობიდან გამომდინარე საქმეებზე	122
რეკომენდაციები საგადასახადო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საქმეებზე	122
რეკომენდაციები სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეებზე	123
სხვა რეკომენდაციები	124

შემოკლებანი

- ადსკ** – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- ავს** – ავტოგასამართი სადგური
- ა/რ** – ავტონომიური რესპუბლიკა
- ბმა** – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
- ბმაშ** – საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“
- ეკშ** – საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“
- თღპსუ** – საქართველოს კანონი „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“
- იგპდ** – საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“
- იმპ** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება
- ინდ.** – ინდივიდუალური
- იხ.** – იხილეთ
- კდსშ** – საქართველოს კანონი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“
- მრშ** – საქართველოს კანონი „მინის რეგისტრაციის შესახებ“
- ნოაშ** – საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- ოსძვ** – საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“
- პპ** – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
- პოლშ** – საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“
- პრშ** – საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“
- პუთმკ** – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
- საგკო** – საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- სამსდ** – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება
- სასკ** – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- საქ. კონ.** – საქართველოს კონსტიტუცია
- სვშ** – საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“
- სზაკ** – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- სკ** – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- სკსას** – საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“
- სმგ** – საქართველოს მთავრობის განკარგულება
- სმდ** – საქართველოს მთავრობის დადგენილება
- სმოშ** – საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“
- სმსდ** – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება
- სმქ** – საქართველოს კანონი „სივრცითი მონეობისა და ქალაქთმშენებლობის სა-

ფუძვლების შესახებ“

- სრემ** – საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“
- სსთდსუშ** – „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი
- სსკ** – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- სსსგ** – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება
- სსშ** – საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- სსსშ** – საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“
- სუსგ** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
- სშსთბ** – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება
- ტმგოსდ** – საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“
- ფმბ** – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება
- ფპმნა** – საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“
- ყფშკ** – „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენცია
- შამაშ** – საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“
- შკ** – საქართველოს შრომის კოდექსი
- შსმბ** – შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება
- შსს** – შინაგან საქმეთა სამინისტრო
- შსუბ** – შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება
- შშმ** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

მუსლოზრივი საქიეპელი

ნორმატიული აქტი	მუსლი ან №	გვერდი
ბმაშ	3	49
ეკშ	49	88
თდპსუ	53	51
იგპდ	4; 6	98
იმბ №4	14 18	51; 56 61
კდსშ	2; 25	89
მრშ	2	61
ნოაშ	1 10 24	92 47 88
ოსძე	9	45
პბ №525	15	62
პბ №660	9	81
პოლშ	53	28
პრშ	38	111
პუთმკ	25 44	78; 82 82
საგკო 2010	255 263-265 267 268 269 281 289 299 301;305	66 66 66 66; 67 69 72 69 67; 73 73
საგკო 1997	237	64
სამსდ №33	17	25
სასკ	4 16 25 ¹ 28 ¹ 32	112 49 108 25 59;105 110
საქ.კონ	21 42	96 37; 47
სეშ	48	84
სზაკ	2 5 7 21 23; 25 60 ¹ 65	108 18 35; 75 105;108 105 32; 55 19

ნორმატიული აქტი	მუსლი ან №	გვერდი
	65 ¹ 96 102 207-208 209	86 75 75 94;102 94
სკ	20 142 170 172 185 254;258 312 327 408 413 417;419 879 882;886 997 1005 1008	98 111 96 91 53 96 49; 53 19 94 94; 102 19 86 86 94 94 102
სკსას	5; 22 ¹	45
სმგ №403		18
სმდ №57	33 37 65 84; 94 ¹	78 75 79 78
სმდ №204	3; 18	25
სმდ №412	3; 14	25
სმოშ	53	96
სმსდ №33	17	25
სმქ	27; 32	76
სრეშ	2 3 5 19 21-22 23 26 29	55; 59 59 49 51 53 51; 59 49 55
სსოდსუშ	53	47
სსკ	53 85 102	115 84 115

ნორმატიული აქტი	მუსლი ან №	გვერდი
	105;172 369 380;385 394	107 111 112 49;112;114
სსშ	23 29 30 33 34 37 39 41 42 50; 57 62 78 93 96-97 98 99 106 107 108 110 112;118 127 134 ¹	21 23;25 21 25 23; 25 30 25 27 25 21; 43 27 21 32 33 32 32; 35 32 35 33 33 30;37;39 37; 41 43
სსსშ	30	92
სშსთბ №9	21	86
ტმგოსდ	1; 4	45
ფმბ №994	23	72
ფპმნა	3	62
ყფშქ	1	28
შამაშ	8;33;70 74	100 101
შქ	21 22 25 31 37	28 27 28 43 28
შსმბ №491 №747	16	41 91
შსუბ №12858	26-27	69

შესავალი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ 2016 წელს არსებითად განხილული ადმინისტრაციული საქმეების საფუძველზე განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის მასალა წარმოადგენს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კონკრეტული საკითხის ირგვლივ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას. შესწავლილი მასალა დალაგებულია თემატურად, რაც დაინტერესებულ პირებს საკმაოდ გაუადვილებს სასურველ საკითხზე მათ მოძიებას. კრებულში არსებობს თემატური და მუხლობრივი საძიებელი. ჩვენ მიერ შესწავლილია ქვედა ინსტანციის მიერ ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური ნორმების არასწორი გამოყენების ან კანონის არასრულყოფილი განმარტების მაგალითები, ასევე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის საკითხები.

გარდა ამისა, ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ გამოთხოვილი იქნა 2016 წელს საკასაციო საჩივრების საფუძველზე არსებითად განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემები შედეგების გათვალისწინებით. მიღებული მონაცემების ანალიზისა და შეგროვილი მასალების განზოგადების შედეგად შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები კონკრეტული კატეგორიის დავებთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის პრაქტიკის განზოგადება, ასევე მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი პოზიციის შემუშავებისთვის, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს გადაწყვეტილებების გასაჩივრების ოდენობას და სასამართლო სისტემის განტვირთვას გამოიწვევს.

წინამდებარე კრებული დაეხმარება მოსამართლეებს გარკვეული საკითხის ირგვლივ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია არსებული პრაქტიკის შესახებ. როგორც წესი, პრაქტიკის ანალიზი აღწერილობითი ხასიათისაა. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის მასალის სამიზნე ჯგუფი არის შიდა მომხმარებელი – მოსამართლეები და მოსამართლის თანაშემწეები, სასამართლო სისტემაში მომუშავე პირები, ადვოკატები, საჯარო მოხელეები, საზოგადოების წევრები და ა.შ.

დავის სახე	განხილული საკასაციო საჩივარი	მათ შორის									
		დატოვებულია უცვლელად		დაუბრუნდა სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის		დამთავრდა მორიგებით		შენცდა		გამოტანილია ახალი გადაწყვეტილება	
		საქმე	%	საქმე	%	საქმე	%	საქმე	%	საქმე	%
V. აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით											
VI. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები მათ შორის:	4	1	25,0	2	50,0					1	25,0
1. პრივატიზაციის თაობაზე მათ შორის:	1	1	100,0								
ა) საცხოვრებელი ბინების											
ბ) სხვა სახელმწიფო ქონება	1	1	100,0								
2. საიჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე											
3. საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით	1									1	100,0
4. სხვა დავები	2			2	100,0						
VII. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – ზიანის ანაზღაურების თაობაზე	3	1	33,3	1	33,3					1	33,3
VIII. საგადასახადო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მათ შორის:	10	3	30,0							7	70,0
1. საბაჟო საგადასახადო ურთიერთობასთან დაკავშირებით	3	1	33,3							2	66,7
2. საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებთან დაკავშირებით	7	2	28,6							5	71,4
IX. მიწის კანონმდებლობიდან გამომდინარე	3			2	66,7					1	33,3
X. დავები სოციალური დაცვის თაობაზე მათ შორის:	3	1	33,3	2	66,7						
1. საპენსიო	1			1	100,0						
2. შეღავათები და დახმარებები											
3. სარჩო	2	1	50,0	1	50,0						
4. სხვა დავები											
XI. სააღსრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები											
XII. სამშენებლო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები მათ შორის:	7	1	14,3	1	14,3					5	71,4
1. ჯარიმები	2			1	50,0					1	50,0
2. ნაგებობის დემონტაჟი											
3. სხვა დავები	5	1	20,0							4	80,0

ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური ნორმების არასწორი გამოყენება ან განმარტება

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი

1.1. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება განახორციელოს უფლებამოსილება კანონის საფუძველზე

ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა სა-
წინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, გამოსცეს ადმინისტრაციული აქ-
ტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის
მქონე გარემოებანი

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა მიმართ 2009-2012 წლებში სა-
ხელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შე-
სახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულება¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2016 წლის 14 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-715-707(კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მი-
მართა სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ადმი-
ნისტრაციულსამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის გრძელვა-
დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, საცხოვრებელი ფართით
უზრუნველყოფამდე ყოველთვიურად ბინის ქირის გადახდისა და მის სასარგებლოდ მა-
ტერიალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.01.2015წ.
გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
01.07.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დევილთა მიმართ გრძელვადიანი საცხოვრებელი
ფართით უზრუნველყოფის პროგრამა ეტაპობრივი იყო, ხოლო აპელანტის მოსაზრება,
რომ სახელმწიფო ვალდებული იყო დევილთა გრძელვადიანი განსახლების პროცედუ-
რა დაესრულებინა 2010 წლის ბოლომდე, მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში დავის არსს და სასა-
მართლოს მსჯელობის ძირითად საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტე-
რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა
სამინისტროს 12.03.2014წ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის
კანონიერების შეფასება, რამდენად ობიექტურად ეთქვა უარი მოსარჩელეს საცხოვრე-
ბელი ფართის მიღებაზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია
და არ შეაფასა მოსარჩელის საცხოვრებელი პირობები, მატერიალური და სოციალური

¹ ძალადაკარგულია საქართველოს მთავრობის 13.06.12 №1162 განკარგულებით.

მდგომარეობა, ასევე არ გაითვალისწინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.2010წ. გადაწყვეტილება, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ჯერ არ იყო გასული საქართველოს მთავრობის 28.05.2009წ. №403 განკარგულებით განსაზღვრული დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის დადგენილი ვადა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით გასულია ზემოაღნიშნული ვადა, მაგრამ მოსარჩელე არ არის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით. მოცემულ შემთხვევაში დავის დაწყებიდან გავიდა 6 წელი, ამ პერიოდში იგი გახდა პენსიონერი, შეიცვალა მისი სოციალური და მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ მისი მოთხოვნები დღემდე არ დაკმაყოფილებულა და ის დღეს ისევ ქირით ცხოვრობს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, კერძოდ, მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რამდენადაც სზაკ-ის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

1.2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება; ხელშეკრულების დადებულად ცნობა და ვალდებულების შეუსრულებლობისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სზაკ-ის ნორმები და სკ-ით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ;

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით;

პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 417-ე და 419-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-233-231(კ-16)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა შემოსავლების სამსახურისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების, პირგასამტეხლოს, დავალიანების სრულად დაფარვამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 6,69 ლარის გადახდის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 15.07.2015წ. გადაწყვეტილებით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოთხოვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.11.2015წ. გადაწყვეტილებით შემოსავლების სამსახურს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო – ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 31 ივლისიდან 2015 წლის 6 მაისის ჩათვლით (1050 დღე), შეუსრულებელი ვალდებულების – 7 251,59 ლარის 0,07%-ის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირგასამტეხლოს გადახდის პერიოდი უნდა განისაზღვროს ვალდებულების შესრულებიდან სარჩელის შეტანამდე (31.07.2012 წლიდან 06.05.2015 წლამდე), ამასთან არასწორად მიიჩნია, რომ აღნიშნული პერიოდი 1050 დღეს შეადგენს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სზაკ-ის ნორმები და სკ-ით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ან/და რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შემოსავლების სამსახურმა მიიღო რა ვალდებულების შესრულება და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დააფიქსირა პრეტენზიის არარსებობა, იგი დაეთანხმა ფასს და მისი გადახდის ვალდებულება წარმოეშვა.

პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 417-ე მუხლით, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. სკ-ის 419-ე მუხლის პირველი ნაწილით კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს გადახდის პერიოდი უნდა განისაზღვროს ვალდებულების შესრულებიდან სარჩელის შეტანის თარიღამდე, თუმცა აღნიშნული პერიოდი არის 1009 და არა 1050 დღე და პირგასამტეხლოც მოპასუხეს სწორედ გადაცილებული 1009 დღისათვის უნდა დაეკისროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შემოსავლების სამსახურს დაეკისრა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს – ყოველდღიურად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,07%-ის გადახდა 31.07.2012 წლიდან 06.05.2015 წლის ჩათვლით (1009 დღე).

2. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დაპატიმრება

2.1. მოხელის სამსახურში მიღება განსაზღვრული ვადით

თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი ინიშნება მოხელის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან გათავისუფლებამდე; დროებით მოვალეობის შემსრულებლის დანიშნისას მოხელე არ თავისუფლდება თავდაპირველად დაკავებული თანამდებობიდან; დამსაქმებელს უფლება აქვს გაათავისუფლოს მოხელე თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებიდან იმ ვადით, რა ვადითაც არმყოფი მოხელის მოვალეობებს ასრულებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოხელის მიერ მანამდე დაკავებული თანამდებობა ვაკანტური არ ხდება

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები²; 30-ე³ და 57-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-277-275(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მინისტრის 08.04.2014წ. ბრძანების ბათილად ცნობა; ასევე მოითხოვა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება სამსახურში აღდგენის თაობაზე და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.05.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 08.04.2014წ. ბრძანება, მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მოსარჩელის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.05.2015წ. გადაწყვეტილება.

² ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 50-ე მუხლით.

³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, როგორც წესი, საჯარო სამსახურში უკონკურსოდ მიიღება პირი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მიჩნეული უნდა იქნეს სსშ-ის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სუბიექტად: იგი წარმოადგენდა თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელს, შესაბამისად, ამავე ნორმით განსაზღვრულია ასეთი მოხელის შრომითი საქმიანობის ვადა – კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშნამდე.

პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ, უნდა გამოიკვლიოს როდის ჩატარდა კონკურსი დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად და კონკურსის შედეგების მიხედვით გამოვლინდა თუ არა გამარჯვებული კონკურსანტი, რის შედეგადაც უნდა გამოსცეს დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი მოსარჩელის მიმართ, სზაკ-ის 61-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსშ-ის 57-ე, 30-ე მუხლები, ასევე, ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, ქვეპუნქტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსშ-ის 57-ე მუხლის შესაბამისად, არმყოფი მოხელის ფუნქციების დროებით სხვა მოხელისათვის დაკისრება სამსახურის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებაა.

საკასაციო პალატის განმარტებით, არსებითი განსხვავება ვაკანტურ თანამდებობაზე ამ წესით მოვალეობის შესრულების დაკისრებასა და სსშ-ის 30-ე მუხლით გათვალისწინებული დროებით მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას შორის არის ის, რომ მოხელე არ თავისუფლდება თავდაპირველად დაკავებული თანამდებობიდან. დამსაქმებელს უფლება აქვს, გაათავისუფლოს მოხელე თავისი სამსახურით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებიდან იმ ვადით, რა ვადითაც არმყოფი მოხელის მოვალეობებს ასრულებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოხელის მიერ მანამდე დაკავებული თანამდებობა ვაკანტური არ ხდება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსშ-ის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი ინიშნება მოხელის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან გათავისუფლებამდე. ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურში განსაზღვრული ვადით მიიღება თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელი – კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშნამდე სსშ-ის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დროებით არმყოფი მოხელის იმ თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, შემცვლელს უფლება აქვს დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა, როგორც ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშნული მოხელის მოვალეობის შემსრულებელმა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია მოხელის უფლება, რომლის რეალიზება დამოკიდებულია დამსაქმებლის ნებაზე, ამ თანამდებობაზე არ დანიშნოს სხვა მოვალეობის შემსრულებელი აღნიშნული კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე ან არ გამოაცხადოს კონკურსი, არამედ მოვალეობის შემსრულებლად დანიშნოს იგივე მოხელე, ვისაც დაკისრებული ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობების დროებით შესრულება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულიად უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემზღვეველ ნორმებზე (სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ვინაიდან სსშ-ის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 57-ე მუხლი, საშუალებას აძლევს დამსაქმებელს ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს მოხელე მასზე დაკისრებული არმყოფი მოხელის მოვალეობების შესრულებიდან, რაც ცხადია, არ გულისხმობს მოხელის თავდა-

პირველად დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი სადავო ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

2.2. ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის წესი

კონკურსის წესით საჯარო მოხელის შერჩევისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს;

მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებისა, დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს, რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 29-ე მუხლი⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-85-84(კ-16)
(<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ სადავოდ გახადა მუნიციპალიტეტში ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსის პროცედურები და შედეგები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის კანონიერება, რომლითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების წარდგენის შესახებ. მოსარჩელემ მოითხოვა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის სადავო ბრძანებების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხისათვის მისი კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და ახალი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 03.08.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.11.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს 03.08.2015წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სხვა კონკურსანტებთან შედარებით მაღალი ქულის მიღება არ წარმოადგენს ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად უპირობოდ წარდგენის საფუძველს, რის გამოც კონკურსის ჩატარებისას სსშ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 18.06.2014წ. №412 დადგენილების, ამ დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

⁴ ამჟამად მსგავსი ურთიერთობა წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 34-ე მუხლით.

საკასაციო პალატის განმარტება: მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო დაესაბუთებინა, რატომ ეთქვა უარი მოსარჩელის კანდიდატურას და რატომ მიენიჭა უპირატესობა ვაკანტურ თანამდებობებზე წარსადგენად სხვა კანდიდატებს.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, როდესაც კონკურსის წესით საჯარო მოხელის შერჩევას არჩევანი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ კეთდება, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებისა, დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს, რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ცალკე აღებული ტესტირების ქულა ან თუნდაც გამოცდილება კანდიდატად წარდგენის უპირობო კრიტერიუმს არ წარმოადგენს და ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს თითოეული კანდიდატის განათლების დონე, სპეციალობა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები და სხვა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პალატამ მიიჩნია, რომ კონკურსის წესით კანდიდატის შერჩევას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასურველი კადრის შესარჩევად წარდგენილი კრიტერიუმები, თავის მხრივ, კონკურსში მონაწილე კანდიდატთა უნარ-ჩვევები, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები ერთობლიობაში უნდა განსაზღვრავდეს მიღებული გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეძლოს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

პალატამ აღნიშნა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს კანდიდატი რამდენად არის საჯარო მოხელის შესატყვისი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას საქმეში არსებული მასალების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საფუძველზე უნდა დაადგინოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები და კანონიერება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები, რის გამოც, პალატამ დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში.

2.3. საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი, კონკურსის მონაწილის შეფასების წესი, კონკურსის შედეგები

ადმინისტრაციული ორგანო – საკონკურსო კომისია ვალდებულია, გასაუბრების ეტაპის ამსახველი რაიმე დოკუმენტი შეადგინოს, რათა სასამართლოს ჰქონდეს შეფასების საშუალება, რამდენად დაცულია საქართველოს მთავრობის №412-ე დადგენილებით განსაზღვრული კონკურსის პრინციპები

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 29-ე, 33-ე, და 34-ე მუხლები⁵
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების⁶ მე-3⁷, 14.3 და 14.4 მუხლები⁸
- „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილების მე-17 მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ბს-167-166(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სამტრედიის რაიონული სასამართლოს 16.10.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 23.06.2015წ. სხდომის ოქმები (გადაწყვეტილებები) და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა კონკურსის მე-3 ეტაპის გასაუბრების ხელახლა ჩატარება; ასევე ბათილად იქნა ცნობილი საპრეტენზიო კომისიის 30.06.2015წ. ოქმი მოსარჩელის საპრეტენზიო განცხადების უარყოფის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.12.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება კანონიერია, თავად მოსარჩელეც ვერ მიუთითებს კონკრეტული ნორმის მოთხოვნის დარღვევაზე. რაც შეეხება კანდიდატების ქულათა სისტემით შეფასებას, დადასტურებულია დასანიშნ კანდიდატთა შეფასების ქულათა უპირატესობა და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მათი დასანიშნად წარდგენა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტიპის ჩანაწერის (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) არსებობის სავალდებულობა სსმ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის 18.06.2014წ. №412 დადგენილებით და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.09.2014წ. №33 დადგენილებით დამტკიცებული სამტრედიის მუნიციპალი-

⁵ ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 29-ე 39-ე და 42-ე მუხლებით.

⁶ ძალადაკარგულია 2017 წლის 1 ივლისიდან საქართველოს მთავრობის 04/21/2017 №204 დადგენილებით.

⁷ ამჟამად მოქმედებს 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-3 მუხლი.

⁸ ამჟამად მოქმედებს 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-18 მუხლი.

ტეტიის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებით გათვალისწინებული არ არის. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა მხოლოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.09.2014წ. №33 დადგენილების მე-18 მუხლით და არ გამოიყენა ამავე დადგენილების მე-17 მუხლი, რომლის თანახმადაც, კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რისი საშუალებისაც შესაძლებელია მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე, რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსშ-ის კანონის 29-ე მუხლის თანახმად, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამავე კანონის 33-ე მუხლის თანახმად, საკონკურსო-საატესტაციო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კომისიის ფუნქცია, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენასთან ერთად, კონკურსი მონაწილე პირების ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაცაა. საქართველოს მთავრობის 18.06.2014წ. №412 დადგენილების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, იმავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონკურსო კომისია ვალდებულია, გასაუბრების ეტაპის ამსახველი რაიმე დოკუმენტი შეადგინოს, რათა სასამართლოს ჰქონდეს შეფასების საშუალება, რამდენად დაცულია სმდ-ის №412-ით განსაზღვრული კონკურსის პრინციპები. საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ კანდიდატთა პროფესიული უნარების შეფასება და ამ თვალსაზრისით, მათი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების დონის ობიექტურად განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ დასაკავებელი თანამდებობების სპეციფიკის გათვალისწინებით წინასწარ შემუშავებული კითხვებისა და ამ კითხვებზე გაცემული პასუხების სისწორის საფუძველზე. ამასთან, რომ არ დაირღვეს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები და გამოირიცხოს სუბიექტივიზმი, დებულებით სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს თითოეული კანდიდატისათვის იდენტური შინაარსის წინასწარ განსაზღვრული კითხვარის გამოყენება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე ცალსახაა მოსარჩელის მოთხოვნის არსი – კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა და გასაუბრების ხელახლა ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით, ამ ფარგლებში სარჩელის არასწორი ფორმულირება დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სასკ-ის 28¹-ე მუხლით და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებოდა მხარეს სარჩელის ტრანსფორ-

მირებაში ან სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებაში და საქმე შესაბამისად განეხილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

2.4. კუთვნილი გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება

მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით;

დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ, თუმცა დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 41.1 მუხლი⁹
- საქართველოს შრომის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განმარტება საქმეზე № ბს-400-395 (2კ-16)
(<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.02.2015წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 23.09.2014წ. ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა; 2009-2014 წლებში გამოუყენებელი შვებულების სრულად ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2016წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.03.2015წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი 2013 და 2014 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე და მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2013-2014წ. გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.

პალატის მითითებით, მოსარჩელეს 2013-2014 წლებში არ უსარგებლია კუთვნილი შვებულებით. დასაქმებულის უფლება – ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით – უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა; მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის დარღვეული უფლება სახეზეა, ვინაიდან მან ორი წლის განმავლობაში ვერ ისარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე ამ უფლების პირდაპირი აღდგენა შეუძლებელია, მოსარჩელის უფლების აღდგენა უნდა მოხდეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსშ-ის 41-ე მუხლი ითვალისწინებს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლებას. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. დასაქმებულის უფლება, ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებად

⁹ ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 62-ე მუხლით.

რებადი შვებულებით, რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით, უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა, ამასთან, აღნიშნული უფლების რეალიზებისათვის დასაქმებულს კანონმდებლობის საფუძველზე უნდა შეეძლოს შვებულების გამოყენების თაობაზე დამსაქმებლისათვის მიმართვა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შვებულებით სარგებლობის უფლება არ წარმოიშობა დასაქმების მომენტიდან და გარკვეულ შემთხვევებში დაკავშირებულია შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობაზე, კერძოდ, შკ-ის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. თუმცა, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი დრო, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მხარეები შეთანხმებულები იყვნენ შვებულებით სარგებლობის უფლების 11 თვეზე ადრე გამოყენების თაობაზე, რის გამოც მას 2013 წლის შვებულებით სარგებლობის უფლება არ გააჩნდა, თუმცა ეკუთვნის 2014 წლის გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა 2014 წლის კუთვნილი შვებულების ანაზღაურება.

2.5. ანაზღაურებადი შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის გამონაკლისი შემთხვევა; პოლიციის ორგანოებიდან დათხოვნის შემთხვევაში გამოუყენებელი ყოველწლიური ფასიანი შვებულების ანაზღაურების საკითხი

დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის, თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე;

„ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენცია შეუძლებელია გავრცელდეს სამართალდამცავ სისტემაში, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში დასაქმებულ სამხედრო და სპეციალური ნოდებების მქონე პირებზე

- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი
- საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 25-ე და 37-ე მუხლები
- „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის კონვენციის¹⁰ პირველი მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-35-34(2კ-2კს-16) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

¹⁰ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით; საქართველოში ძალაშია 1997 წლის 22 ივნისიდან.

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.04.2015წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შს მინისტრის 04.12.2014წ. ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შსს-დან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში დათხოვნის შესახებ. მოპასუხეს დაევა-ლა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.11.2015წ. განჩინებით ნაწილობრივ გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში და შსს-ს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 60 ლარის გადახდა. მოპასუხეს დაეკისრა ასევე მოსარჩელის სასარგებლოდ სამი წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.04.2015წ. გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა „ყოველწლიური ფასიანი შევებულების შესახებ“, კონვენციით, რიც გამოც არასწორად დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 3 წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „ყოველწლიური ფასიანი შევებულების შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლი განსაზღვრავს რომელ კერძო თუ სახელმწიფო უწყებაში დასაქმებულ პირებზე ვრცელდება კონვენციის მოქმედება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლის გავრცელება შეუძლებელია სამართალდამცავ სისტემაში, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში დასაქმებულ სამხედრო და სპეციალური წოდებების მქონე პირებზე.

პოლშ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებულია პოლიციელის ყოველწლიური შვებულებით სარგებლობის უფლება და ხანგრძლივობა. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსშ კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს შს მინისტრის 31.12.2013წ. №997 ბრძანებით დამტკიცებული „შსს-ს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს კუთვნილი შვებულების დროს ეძლევა შესაბამისი ხელფასი (ფულადი სარგო), წელთა ნამსახურობისა და სხვა სპეციალური დანამატები და კომპენსაციები.

აღნიშნული სპეციალური ნორმატიული აქტები არ განსაზღვრავს პოლიციის ორგანოებიდან დათხოვნის შემთხვევაში გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესაძლებლობას, ხოლო წინა წლის შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის წესი სსშ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსით, კერძოდ, შკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

შკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად, მაგრამ ამავე ნორმით პირდაპირაა დადგენილი, შრომის ხელშეკრულების მოშლის რომელი საფუძველი უნდა არსებობდეს ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ბის წარმოშობისათვის, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს შკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“-„თ“ და „ო“ ქვეპუნქტების წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, ამგვარი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის მიერ მხოლოდ ბოლო წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.

2.6. მოხელის უფლების დაცვა; მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში

შრომითი გასამრჯელოს მიღების უფლება აქვს მოხელეს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე, ხოლო უკანონოდ განთავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო იძულებითი განაცდურის სახით

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 37-ე და 112-ე მუხლები¹¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-504-499(2კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.06.2015წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა მოსარჩელეთა სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.01.2015წ. გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება; მოპასუხეს, ასევე დაევალა მოსარჩელეთა მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება; სხვა საპროცესო ხარჯების, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.03.2016წ. განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.06.2015წ. გადაწყვეტილება და გასაჩივრებული საოქმო განჩინებები.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეებმა ვერ დაასაბუთეს და სასამართლოში არ წარმოუდგენიათ იმის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება, რომ მათი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით.

განსახილველ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე დააკმაყოფილეს მოსარჩელეთა მოთხოვნა და დაავალეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.01.2015წ. გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება, რომ არ გაარკვიეს სახეზე ხომ არ იყო განსხვავებული ფორმულირებით და სხვადასხვა სამარ-

¹¹ ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 118-ე მუხლით.

თლებრივ საფუძვლებზე მითითებით სხვადასხვა სარჩელით წარდგენილი ერთი და იმავე თანხების მოპასუხისთვის დაკისრების შემთხვევა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. ამდენად, შრომითი გასამრჯელოს მიღების უფლება აქვს მოხელეს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე, ხოლო უკანონოდ განთავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.07.2016წ. განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ ადვოკატისათვის განეული ხარჯების დაკისრების თაობაზე მოთხოვნის ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეში მოსარჩელები იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას ითხოვდნენ სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან (22.08.2014წ.) სამსახურში აღდგენამდე, ხოლო განსახილველ შემთხვევაში საუბარია 2015 წლის 27 იანვრიდან მოსარჩელეთა თანამდებობებზე აღდგენამდე თანხების ანაზღაურებაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, საქმის სწორად გადაწყვეტისთვის, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე, ასევე სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის გათვალისწინებით, რომელიც სააპელაციო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის სწორედ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში დაუბრუნდა, შეფასება უნდა მისცეს სახეზე ხომ არ გვაქვს მოსარჩელეთათვის ხელფასის გაორმაგებული ოდენობის თანხების ანაზღაურება, ერთ შემთხვევაში მიუღებელი ხელფასის სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში ზიანის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს 24.03.2016წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

2.7. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის

პირი შეიძლება გათავისუფლდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;

ადმინისტრაციული წარმოების წესის უხეში დარღვევა, დაინტერესებული მხარი-სათვის წარმოების შესახებ შეუტყობინებლობა არ იწვევს უპირობოდ აქტის გაუქმებას; ასეთი დარღვევა არ არის აბსოლუტური ხასიათის და არ იწვევს უცილობლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 93-ე და 99-ე მუხლები¹²
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-806-798 (კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ საბურთალოს რაიონის გამგეობის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.02.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე, მოპასუხეს – საბურთალოს რაიონის გამგეობას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ, გამგეობას დაევალა აგრეთვე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოქალაქეებზე ერთჯერადი ფულადი დახმარებების არასწორად გაცემის საკითხი არ წარმოადგენს ისეთი შინაარსის ფაქტს, ხდომილებას, რომლის გამოც დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მოხსენებით ბარათში აღნიშნულ გარემოებაზე, არ დაუდგენია ამ მიმართებით რაიმე ფაქტობრივი გარემოებები, არ შეუფასებია მტკიცებულებები, რომელთა მოპოვება მოხდა სადავო აქტის გამოცემის შემდეგ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დავის გადაწყვეტა საჭიროებდა მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებების გარკვევას, რასაც ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ გარემოებაზე მითითება, რომ სადავო აქტის გამოცემამდე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა მოსარჩელის მიმართ გამოყენე-

¹² ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 98-ე და 106-ე მუხლებით.

ბული არ ყოფილა, არ ადასტურებს სადავო აქტის უკანონობას, გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის არაადეკვატურობას.

სსშ-ის 93-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირი შეიძლება გათავისუფლდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში. მოხსენებით ბარათში აღნიშნულია მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევები, რომელთა დადასტურების შემთხვევაში არსებობდა სსშ-ის 99-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ზომების მიუღებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უდავოდ ადასტურებს ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ხარვეზიანობას. ამასთანავე, საქმეზე არ იყო გამოკვლეული მოსარჩელის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულობის საკითხი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების წესის ყოველგვარი, თუნდაც უხეში დარღვევა, დაინტერესებული მხარისათვის წარმოების შესახებ შეუტყობინებლობა არ იწვევს უპირობოდ აქტის გაუქმებას. სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ადმინისტრაციის მიერ სადავო აქტის გამოცემა საქმის გარემოებათა გამოკვლევის, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, შესაბამისად, არ დასტურდება სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სადავო აქტის ბათილად ცნობის აბსოლუტური საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

2.8. სამსახურიდან გათავისუფლება საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით; მოხელის გაფრთხილება განთავისუფლების შესახებ

რეორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს; ერთი მხრივ, არსებობს შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, არის შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 96-ე და 97-ე¹³ მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-166-165(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბი-

¹³ ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და 110-ე მუხლით.

ლისის საკრებულოს აპარატის უფროსის 17.09.2013წ. განკარგულების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის მისი სამსახურში აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.06.2014წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის განთავისუფლების შესახებ სადავო განკარგულება და მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.06.2014წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსშ-ის 96-ე მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დანესებულების ლიკვიდაციის გამო; მაგრამ დანესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დანესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან სსშ-ის 97-ე მუხლის საფუძველზე; კერძოდ, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დანესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად, მოხელეთა უპირატესობების გამოვლენის მიზნით ჩაატაროს სხვა საჯარო მოხელეებისა და მოსარჩელების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შედარებითი (ანალიტიკური) კვლევა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსშ-ის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 97-ე მუხლი დანესებულების რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც დანესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. ამდენად, რეორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს. შტატების შემცირება არის დანესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიციური კადრით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება. სსშ-ის კანონი დანესებულებაში შტატების შემცირების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება.

ამასთან, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას საკასაციო სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შემთხვევა, როდესაც დანესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მოხელეთა გათავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გაუქმდა მთლიანად ის სამტატო ერთეული, რომელშიც ირიცხებოდა მოსარჩელე, შესაბამისად, სახეზე არ იყო შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს აპარატის უფროსის მოადგილეთა კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და უკეთესი/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით ევალუბოდა გადაწყვეტილების მიღება ერთი მოადგილის გათავისუფლების და შედარებით უკეთესი მონაცემებისა და კონკრეტული უპირატესობების მქონე 2 მოადგილის სამსახურში დატოვების თაობაზე. განსახილველ დავაში გაუქმდა სწორედ მოსარჩელის სამტატო ერთეული. კერძოდ, მისი საკურატორო სფეროები გადანაწილდა სხვა მოადგილეზე და იგი დარჩა უფუნქციოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი სადავო განკარგულების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2.9. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია იმის გარკვევა, დაცულია თუ არა მის მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება რამდენად ქმნიდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს, რა სახის ზიანი მიადგა ადმინისტრაციულ ორგანოს ან სხვა პირს აღნიშნული ქმედების შედეგად

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი¹⁴
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე № ბს-184-183 (კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის 15.09.2014წ. ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2015წ. გადაწყვეტილებით სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის 15.09.2014წ. სადავო ბრძანება და მოპასუხეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.10.2015წ. გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-

¹⁴ ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 107-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით.

ულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2015წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას დაევალა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა; რაიონის გამგეობას დაევალა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2014 წლის 15 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე, სრული მოცულობით, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მითითებით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელის მხრიდან წარსულში რაიმე გადაცდომას და შესაბამისად, მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძველად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას, რის გამოც ნებისმიერ შემთხვევაში დისკრეცია ადმინისტრაციულ ორგანოს არ აძლევს უფლებას, მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული წესების უარყოფით და საქმის გარემოებათა არასწორი შეფასების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა დროსაც იგი ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. სზაკ-ის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. სსშ-ის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა; ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

პალატის განმარტებით, სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებას მნიშვნელოვანი მატერიალური თუ სხვა სახის ზიანი ადგება ან/და ამით მნიშვნელოვნად ეშლება ხელი ადმინისტრაციულ ორგანოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, მნიშვნელოვნად ილახება მოქალაქეთა უფლებები, სამსახურის პრესტიჟი, დარღვევა გამოიხატება მოხელის მხრიდან მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შეგნებულ უგულებელყოფაში ან უხეშ დაუდევრობაში.

განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელია მოსარჩელის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება რატომ ვერ უზრუნველყოფდა მის მიერ ჩადენილი გადაცდომისთვის სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებ-

ში მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია იმის გარკვევა, დაცულია თუ არა მის მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, რამდენად ქმნიდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს, რა სახის ზიანი მიადგა ადმინისტრაციულ ორგანოს ან სხვა პირს აღნიშნული ქმედების შედეგად. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას, მოსარჩელის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის – სამსახურიდან განთავისუფლების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ძალზედ მნიშვნელოვანია, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადანყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადანყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადანყვეტილების მიღების აუცილებლობა. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადანყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადანყვეტილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ბრძანება და მოპასუხეს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი.

2.10. უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე;

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში და როდესაც არსებობს სამსახურიდან გათავისუფლების აქტის ბათილობის საფუძველი

- საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლი
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 112-ე¹⁵ და 127-ე მუხლები¹⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-683-675(2კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

¹⁵ ამ მუხლის მეორე წინადადება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადანყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

¹⁶ სსმ-ის 112-ე და 127-ე მუხლების შინაარსი შეესაბამება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 118-ე მუხლის შინაარსს.

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.03.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 23.04.2014წ. ბრძანება; აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; სასარჩელო მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.03.2015წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია არის სამსახურის შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციური გარდაქმნა, რასაც შეიძლება სდევდეს დაწესებულების მთლიანი ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციური დატვირთვის ცვლილება. ამ სახის რეორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა მას შტატის რაოდენობრივად შემცირება, შეიძლება ქმნიდეს მოხელის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის საფუძველს, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ. განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, მოხელე საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით დაცულია, ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით განიხილება როგორც მისი შრომითი მონაწილეობის, დანიშნულების, აგრეთვე მისი გათავისუფლების საკითხიც.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსშ-ის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

საკასაციო პალატის განმარტებით, საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსშ-ის 112-ე მუხლის მე-2 ნაწილად დება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მიეცეს არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით აღადგინა მოსარჩელე გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე და სრულად

აუნაზღაურა მას იძულებითი განაცდური გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე.

2.11. იძულებითი განაცდურის ოდენობის განსაზღვრა

იძულებითი გაცდენის დროს არ ხდება პირის მიერ სამუშაოს შესრულება და ამ დროს მიყენებული ზარალი შეიძლება ყოველთვის არ იყოს იძულებითი გაცდენის პერიოდში მისაღები ხელფასის იდენტური; შესაბამისად, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იქნეს უკანონოდ განთავისუფლებით პირისთვის მიყენებული ზარალის კონკრეტული ოდენობა

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 112-ე მუხლი¹⁷

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-776-768(2კ-4კს-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებების ბათილად ცნობა, მოსარჩელეთა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე იძულებითი განაცდური ხელფასის სრული ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანებები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე მოსარჩელეთა აღდგენა და მათთვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.2015წ. გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანებები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ორი მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა, ასევე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 3 თვის სახელფასო სარგოს ოდენობით 2014 წლის 22 აგვისტოდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე. მესამე მოსარჩელის მოთხოვნა თავდაპირველ თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, მერიას დაევალა მისთვის შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელეთა მოთხოვნა, გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და 2014 წლის აგვისტოს თვის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამსახურში გამოუცხადებლობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების სადავო აქტების გამოცემის კანონიერების ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენს ამონაწერი საშვების ელექტრონული სისტემიდან. ვი-

¹⁷ ამ მუხლის მეორე წინადადება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. ამჟამად, 112-ე მუხლის შინაარსი შეესაბამება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 118-ე მუხლის შინაარსს.

ნაიდან ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადასტურებდა გადაცდომის არსებობის ფაქტს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს დამდგარი შედეგის – სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების დადასტურების შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრებები იძულებითი განაცდურის სრული მოცულობით ანაზღაურების თაობაზე და კანონის ფარგლებში მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, სსშ-ის 112-ე მუხლზე მითითებით შესაძლებლად მიიჩნია იძულებითი განაცდურის 3 თვის სახელფასო სარგოს ოდენობით ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური¹⁸, გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა კი იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით¹⁹.

საკასაციო პალატის განმარტებით, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა საერთო წესის მიხედვით არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე საერთო სასამართლოების მიერ ადრე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა, ის საკასაციო წესით გასაჩივრდა მხარეების მიერ, მოსარჩელები სარჩელის აღძვრისთანავე სასამართლოსგან მოითხოვედნენ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედების გამოყენებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო სასამართლოებს არ აქვთ უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეუსაბამოდ განმარტონ. ამდენად, ის გარემოება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, არ ადასტურებს მის მართლზომიერებას. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, იწვევს ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულებას²⁰. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას²¹. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, უნდა აუნაზღაურდეს არა 3 თვის იძულებითი განაცდურის, არამედ სრული მოცულობით, კერძოდ, სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იძულებითი გაცდენის დროს არ ხდება პირის მიერ სამუშაოს შესრულება და ამ დროს მიყენებული ზარალი შეიძლება ყოველთვის არ იყოს იძულებითი განაცდურის პერიოდში მისაღები ხელფასის იდენტური. შესაბამისად, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იქნეს უკანონოდ განთავისუფლებით პირისათვის მიყენებული ზარალის კონკრეტული ოდენობა²².

¹⁸ იხ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 112-ე მუხლი.

¹⁹ იხ. სსსგ 31.07.2015წ. 2/3/630.

²⁰ იგივე დანაწესს შეიცავს სზაკ-ის 208.2 მუხლი.

²¹ იხ. სუსგ 10.12.2015წ. №ბს-161-158(კ-15).

²² იხ. სსსგ 31.07.2015წ., №2/3/630, პ. 14.

საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

2.12. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შეუძლებლობის შემთხვევაში უკანონო ადმინისტრაციული აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტიკურიუმებია განსაზღვრული;

იძულებით განაცდურის ანაზღაურების შეუძლებლობა არ ართმევს პირს უფლებას მოითხოვოს უკანონო ადმინისტრაციული აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტი²³
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში სამუშაოდ მიღებისა და სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს № 491 ბრძანების²⁴ მე-16 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-475-470(2კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ლაგოდეხის მაგისტრატ სასამართლოში და მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 26.11.2014წ. ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.

ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 09.06.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მოპასუხე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2014 წლის 26 ნოემბრიდან 2015 წლის 10 იანვრამდე. დანარჩენ ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.03.2016წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 09.06.2015წ. გადაწყვეტილება; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის სამსახურში აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2014 წლის 26 ნოემბრიდან სასამართლო გა-

²³ ამ მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით 21.07.2017 №2/4/735 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

²⁴ ძალადაკარგულია 2018 წლის 1 იანვრიდან შსმბ-ის 01/26/2018 №9 ბრძანებით.

დანყვეტილების აღსრულებამდე; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსშ-ის 97-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციის შესაბამისად, ვინაიდან დანესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში, არ არსებობს მოსარჩელის ქ. ლაგოდების სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური, ვინაიდან გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა ინვესს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო გაიცემა მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად, უნდა აუნაზღაურდეს სრულად, კერძოდ, სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, იძულებითი განაცდურის აღდგენა უნდა დაევალოს ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა ერთი სამსახურის/თანამდებობის ფორმალური მონაცვლეობა ერთსა და იმავე ან ზემდგომ/ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, არამედ გამგეობის შემადგენლობაში არსებული სამსახური გაუქმდა და მსგავსი ფუნქციის სამსახური შეიქმნა სრულიად სხვა უწყების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ახლადშექმნილი სამსახური არის სამართალდამცავი სისტემის ნაწილი, რომელიც, მართალია, სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფლებამონაცვლეა, მაგრამ მასზე ვრცელდება შსს-ში დასაქმებულ პირთა მიმართ მოქმედი დამატებითი შეზღუდვები და მოთხოვნები, რომლებიც არ გამოიყენებოდა გამგეობის თანამდებობის პირთა მიმართ, მათ შორის, ასაკობრივი მოთხოვნები, კერძოდ, მოსამსახურედ სააგენტოში არ მიიღება 60 წელს გადაცილებული პირები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს გათავისუფლებული პირისათვის ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების ვალდებულებას, თუ აღარ არსებობს ის კონკრეტული საშტატო ერთეული, საიდანაც მისი გათავისუფლება მოხდა; საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმებია განსაზღვრული.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ სსშ-ის 127-ე მუხლის მე-6 ნაწილი იძულებით განაცდურის ანაზღაურებას ითვალისწინებს მხოლოდ პირის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, თუმცა იძულებით განაცდურის ანაზღაურების შეუძლებლობა არ ართმევს პირს უფლებას, უკანონო ადმინისტრაციული აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, სზაკ-ის 207-ე და 208-ე მუხლებისა და სკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებულნი გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, მოპასუხე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 26 ნოემბრიდან 2015 წლის 10 იანვრამდე პერიოდისათვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება.

2.13. მიუღებელი ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების წესი

მიუღებელი ხელფასისა და დანამატის ანაზღაურებისათვის სახეზე უნდა იყოს არამართლობიერი ქმედება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლი²⁵
- საქართველოს შრომის კოდექსის 31.3 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-11-11(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 29.07.2014წ. გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატების სარჩელი სახელფასო დავალიანების მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დააკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.11.2014წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტები თანამდებობიდან დათხოვნილ იქნენ 1991-1992 წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად და არა დამსაქმებლის ბრალით. კანონმდებელმა ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოს დათხოვნის გამო მის წევრებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა, სრულიად სხვა სამართლებრივ რეჟიმში მოაქცია მათი სამართლებრივი მდგომარეობა. სააპელაციო პალატამ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების არსებობა მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად და მითითებული მსჯელობა გაავრცელა ყველა მოსარჩელეზე მაშინ, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული ყველა დეპუტატის მიმართ. სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა შრომის კოდექსის ნორმები, თუმცა დავის გადაწყვეტის არც სხვა რაიმე ნორმაზე მიუთითა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქართველოს კონსტიტუციის 30.4, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე და „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-6 მუხლებიდან გამომდინარე, შესრულებული სამუშაოსთვის ხელფასის მოთხოვნა წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფო მოსამსახურის კანონით დაცულ უფლებას. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებს ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს, სახეზე უნდა იყოს სამუშაოდან უკანონოდ

²⁵ ამჟამად მსგავსი ურთიერთობები წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 57-ე მუხლით.

გათავისუფლების ფაქტი და უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსშ-ის 134¹-ე მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის გაცემა ხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც დადებითი, ანუ ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი. სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება ისეთი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, რომელსაც პირი აუცილებლად მიიღებდა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის არარსებობის შემთხვევაში. მიუღებელი ხელფასისა და დანამატის ანაზღაურებისათვის სახეზე უნდა იყოს არამართლობიერი ქმედება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ზიანი. საქმეზე არ დასტურდება მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის მიერ ზიანის მიყენება. მოცემულ შემთხვევაში დასაბუთებას საჭიროებს მოთხოვნის საფუძველი, ასევე უკანონო შეიარაღებული გადატრიალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის სათანადო მოპასუხის საკითხის დადგენა.

მოსარჩელები რეალურად მოითხოვენ არა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებას, არამედ ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის გაცემის დაყოვნებისთვის დაყოვნებული პერიოდის შესაბამისი პროცენტის ანაზღაურებას, რაც გათვალისწინებულია ამჟამად მოქმედი შკ-ის 31.3 მუხლით, რომელიც სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება. ამასთანავე, ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის გაცემის დაყოვნებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა სადავო პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი. საკასაციო პალატის განმარტებით, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად არ წარმოადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების არსებობა, რის საფუძველზე კასატორების ქონებრივი უფლებების აღდგენა მოხდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება ანალოგიურ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან²⁶, ასევე გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

²⁶ იხ. სუსგ №ბს-302-293(კ-13),24.02.2014წ.; №ბს-583-576(2კ-15),08.12.2015წ.; №ბს-144-143(2კ-16),15.09.16წ.

3. სოციალური უზრუნველყოფის საკითხები

3.1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრთათვის კომპენსაციის მიღების უფლება

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, სხვებთან ერთად, მიეკუთვნებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები;

კომპენსაციის მიმღებ პირთა შორის სხვებთან ერთად გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები

- „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი
- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი და 22¹-ე მუხლი
- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ 1996 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი და მე-4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-778-770(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტისა და გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად აღიარება, ვეტერანების საქმეების სახელმწიფო სამსახურის მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე აღიარებულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად, ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები, მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015წ. გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ოსძვ-ის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში, ქ. სენაკში, ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღე-

ბულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი ვერ შეფასდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლებში მონაწილეობად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ I ხარისხის ორდენით დაჯილდოება უპირობოდ არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად აღიარებას. სააპელაციო პალატის განჩინება არ შეიცავდა მოსარჩელისათვის სკსას-ის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით და 22¹-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღებისათვის საჭირო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ გარე აგრესიისაგან დაცვას. ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობისათვის საფრთხის არსებობის დადგენა უკავშირდება დაპირისპირების მასშტაბის, საფრთხის ხარისხის დისკრეციული შეფასების სფეროს, შესაბამისად, სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებაში აღნიშნული გარემოებების უარყოფა საჭიროებდა სათანადო დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით²⁷ სახელმწიფოს მეთაურის აქტით უკვე აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპული პირის ოჯახის წევრი ითვლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ოსძვ-ის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, სხვებთან ერთად, მიეკუთვნებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები.

გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11წ. №871 ბრძანებით დამტკიცებული „ოსძვ-ით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონაწილეობის გაცემის თაობაზე“ ინსტრუქცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედების მონაწილესთან მიმართებით უთითებს არა კონკრეტულ რეგიონს, არამედ კონფლიქტურ ზონებს, სადაც მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერაციები.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის კანონით შეტანილი დამატებების თანახმად, კომპენსაციის მიმღებ პირთა შორის სხვებთან ერთად გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები²⁸. საკანონმდებლო ნოვაციები ითვალისწინებენ

²⁷ იხ. სუსგ №83-80 (კ-06), 25.07.06წ.

²⁸ იხ. სკსას მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი და 22¹-ე მუხლი.

კომპენსაციების დანიშვნას არა მხოლოდ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის, არამედ აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა ოჯახის წევრთათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

3.2. კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენების შესაძლებლობა

კანონის არაპირდაპირი უკუქცევითი ძალის დაშვების გადაწყვეტა საჭიროებს კომპენსაციის მოპოვების უფლების ბუნების, კომპენსაციის სოციალური ხასიათის, აქამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებას

- საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლი
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი
- „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-151-149(კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.07.2014წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს 11.04.2014წ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელესთან მიმართებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2014წ. განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.07.2014წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატის შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის მოსაზრებები კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გარკვევას საჭიროებს გასაცემი კომპენსაციის თანხის ოდენობის საკითხი, თუმცა კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე 23.10.13წ. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გაიზიარეს სააგენტოს მოსაზრება სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის არსებობის შესახებ, ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის სადავო გადაწყვეტილება, რომელშიც კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლად შეცდომით მითითებულია გარდაცვალება. არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა საქმის სამართლებრივ ასპექტებზე, კერძოდ, არსებობდა თუ არა მსჯავრის დადების გამო პენსიის შეწყვეტის, აქტში ცვლილების შეტანის საფუძველი, იყო თუ არა შესაძლებელი ახალი წესის თანახმად გადაანგარიშება და სხვა. სასამართლომ ასევე არ იმსჯელა სახელმწიფო კომპენსაციის გამოანგარიშებული თანხის ოდენობის სისწორეზე; საქმეში არც მოპასუხედ და არც მესამე პირად არ იქნა ჩაბმული დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი,

რომლის გადანყვეტილებითაც განისაზღვრა შეწყვეტის შემდეგ ახლად დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში გადასაწყვეტია განგრძობადი სოციალური უზრუნველყოფის საკითხი, შესაბამისად, დავის გადაჭრა საჭიროებს დავის გადანყვეტისათვის გამოსაყენებელი კანონმდებლობის დადგენას. საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ პენსიის შეწყვეტის მომენტში მოქმედი თდპსდ-ის 53-ე მუხლი პენსიის შეწყვეტის საფუძველად ითვალისწინებდა სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე პენსიონერისათვის მინიჭებული სამხედრო (სპეციალური) ნოდების ჩამორთმევას²⁹. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის მოსაზრებები კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლის, ნოაშ-ის მე-10 მუხლის მიხედვით, კანონს თუ არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში გადასაწყვეტია არა პასუხისმგებლობის, არამედ განგრძობადი სოციალური უზრუნველყოფის საკითხი, დავის გადაჭრა საჭიროებს დავის გადანყვეტისათვის გამოსაყენებელი კანონმდებლობის დადგენას. კანონის არაპირდაპირი უკუქცევითი ძალის გადანყვეტისას გასათვალისწინებელია კომპენსაციის სოციალური ხასიათი³⁰, მისი მოპოვების უფლების ბუნება, ასევე ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა³¹.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა სოციალური მომსახურების სააგენტოს გადანყვეტილებით განსაზღვრული კომპენსაციის თანხის ოდენობის მართებულობაზე, კომპენსაციის გამოანგარიშებისათვის გამოსაყენებელ კანონმდებლობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

²⁹ ამ კანონის 53-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გაუქმდა 23.12.05წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად.

³⁰ კომპენსაციის გაცემაზე სახსრების ფორმირება ხდება არა ხელფასიდან უშუალო შენატანების საფუძველზე, არამედ სახელმწიფოს საბიუჯეტო შესაძლებლობიდან გამომდინარე.

³¹ იხ. სუს დიდი პალატის 21.06.07წ. №ბს-21-21 (კ-07) განჩინება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.06.12წ. გადანყვეტილება – „ა.ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ“.

4. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაცია

4.1. საჯარო რეესტრში არსებულ რეგისტრაციაზე უცყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის მოქმედების ფარგლები

პრეზუმფცია ემსახურება კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვას, როდესაც ჩანანერის მიმართ არ არის შეტანილი საჩივარი ან შესამე პირს არ აქვს ინფორმაცია ჩანანერის ხარვეზის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანი ეხება საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაციის კანონიერებას, სადავო რეგისტრაციაზე არ მოქმედებს უცყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია;

რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს, თუ წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და 26-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი
- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-207-203(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.06.2014წ. გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოების სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.12.2014წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სრემ-ის მე-8, მე-9, 26-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ რეგისტრაცია ბათილად ან არარად რომ გამოცხადდეს, ბათილად ან არარად უნდა იყოს ცნობილი ის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა რეგისტრაცია ანუ უფლების დამდგენი დოკუმენტი. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია სადავო ფართით სარგებლობის ან ფართზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება. სააპელაციო პალატამ სადავო ფართის მესაკუთრის დადგენის გარეშე დაასკვნა, რომ შესამე პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გამომრიცხავი გარემოება არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ვინაიდან საკითხი არ საჭიროებდა სპეციალურ ცოდნას და მისი გარკვევა სასამართლოს შეეძლო საქმეში დაცული მტკიცებულებების გამოკვლევით და გაანალიზებით, თუმცა ასეთი გამოკვლევა და ანალიზი სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილი არ იყო. სააპელაციო პალატამ არც ის დოკუმენტაცია გამოიკვლია, რომელზე დაყრდნობითაც ამხანაგობა სადავო ფართს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებად მიიჩნევდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ბმაშ-ის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახ-

მად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არის მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე და მესამე პირი რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების ნაწილის მესაკუთრეებად, ამდენად, აღნიშნულ მისამართზე ფლობენ ინდივიდუალურ საკუთრებას და არიან ბმა-ს წევრები.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სრემ-ის 26.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაცია ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს, თუ ბათილად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამდენად, ადგილი აქვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას და არა ბათილად ცნობას, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნას სწორედ რეგისტრაციის ბათილად ცნობა შეადგენდა. ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს, თუ წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 312-ე მუხლიდან გამომდინარე, რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფცია და ნებისმიერი ფაქტი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს რეგისტრაციის არაკანონიერებაზე, არ გამოორიცხავს აღნიშნულ პრეზუმფციას, სკ-ის 312-ე მუხლით და სრემ-ის მე-5 მუხლით განმტკიცებული საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფცია, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელოვანი გამოვლინება, სერიოზულ გარანტიას ქმნის კეთილსინდისიერი შემძენის უფლების დაცვისათვის. პრეზუმფცია ემსახურება კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვას, როდესაც ჩანაწერის მიმართ არ არის შეტანილი საჩივარი ან მესამე პირს არ აქვს ინფორმაცია ჩანაწერის ხარვეზის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანი ეხება საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაციის კანონიერებას, სადავო რეგისტრაციაზე არ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა უშუალოდ ეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის, მათ შორის, ამხანაგობის იმ წევრების ინტერესებს, რომლებიც საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრენი არიან, რადგან თითოეული წევრის ინდივიდუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას ახდენს ამხანაგობის წევრების უფლებრივ მდგომარეობაზე. ამასთანავე, სადავო რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი. აღნიშნულის მიუხედავად, სასკ-ის მე-16 მუხლის დარღვევით, სასამართლომ არ ჩააბა ამხანაგობა ან მისი წევრები საქმის განხილვაში, რის შედეგადაც სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

4.2. საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის წესი

სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციას

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი და 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-215-214 (კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 27.05.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.12.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 27.05.2015წ. გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სრემ-ის მე-14 მუხლზე, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტზე და განმარტა, რომ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სრემ-ის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება ყადაღადადებული და განკარგვააკრძალული უძრავი ნივთის მართლზომიერი მფლობელის საკუთრების უფლების ან ყადაღადადებული ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებითი განკარგვის შედეგად წარმოშობილი უფლების რეგისტრაციაზე. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დავის სწორად გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო სამართალურთიერთობასთან მიმართებაში მართლზომიერი მფლობელის ცნების განსაზღვრას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევა, რაც შესაძლებელს ხდიდა უფლების რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სრემ-ის მე-19 მუხლში მოცემულია საჯაროსამართლებრივი შეზღუდვების რეესტრის დეფინიცია, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ

კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს, რომ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ამავე კანონის 23-ე მუხლი განსაზღვრავს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს, კერძოდ, მითითებული ნორმის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნივთზე რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა (მისი შინაარსის გათვალისწინებით) გამორიცხავს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარეგისტრაციო დოკუმენტი გაცემული, მიღებული ან შედგენილია ყადაღის, განკარგვის უფლების შეზღუდვის ან აკრძალვის რეგისტრაციამდე, ამასთანავე, სარეგისტრაციო დოკუმენტი გაცემული, მიღებული ან შედგენილია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე. ასეთ შემთხვევაში რეგისტრირებული ყადაღა, განკარგვის შეზღუდვა ან აკრძალვა ცხადდება ძალადაკარგულად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს, უძრავ ნივთზე რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა გამორიცხავდა თუ არა იმავე უძრავ ნივთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციას, რაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოადგენდა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმ საკითხის გამოკვლევა, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება წარმოშობდა თუ არა სამართლებრივ შედეგებს, ანუ როდის იქნა განხორციელებული ინდივიდუალური საკუთრების პირველადი რეგისტრაცია – 2009 წელს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის თუ 11.07.2012წ. მოსარჩელის მიერ სადავო ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განხორციელებისას, რადროსაც უკვე არსებობდა რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა – ყადაღა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

4.3. ურთიერთსაინააღმდეგო რეგისტრაციის განხორციელების დაუშვებლობა; კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე

კანონმდებლობით იმპერატიულად აკრძალულია უძრავ ნივთზე ურთიერთსაინააღმდეგო რეგისტრაციის განხორციელება;

კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1 და 22-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-597-590(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: საჩხერის რაიონული სასამართლოს 31.07.2013წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ჭიათურის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჭიათურის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა მესამე პირებისთვის ქ. ჭიათურაში, არასაცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმა; ამავ გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა – ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის გადადების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს 31.07.2013წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი განსხვავებულად წესრიგდება მოძრავი და უძრავი ქონების ბრუნვის შემთხვევაში, მეორე შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. დავის გადაწყვეტისათვის საჭიროა გაირკვეს დაცულია თუ არა უფლების მფლობელსა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების სამართლიანი ბალანსი. სააპელაციო პალატამ, ასევე განმარტა, რომ რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკ-ის 185-ე მუხლით დაცულ შემძენის უფლებას, არ შეიძლება შემძენს მოეთხოვოს უფლების შესახებ იმაზე მეტის ცოდნა, რაც კანონით არის დადგენილი. პალატამ მიუთითა, რომ ობიექტურად არსებული ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიუთითებს რეგისტრაციის ხარვეზზე, ვერ გამორიცხავს ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სავაჭრო ობიექტის ნუმერაციის მიხედვით დაყოფის, ნუმერაციის შეცვლის, ფართების გადანაწილების, ფართების განშლის საკითხი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემული დავის გადაწყვეტა საჭიროებს უტყუარად ერთი და იმავე ფართის რამდენიმე პირზე რეგისტრაციის ფაქტის დადგენას.

აღნიშნულის გარკვევისათვის ცხადად უნდა დადგინდეს მხარეების მიერ შეძენილი ფართების ადგილმდებარეობა, შეძენილი და რეგისტრირებული ფართების იგივეობა, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი და იმავე ფართის რამდენიმე პირზე რეგისტრაციას თუ საჯარო რეესტრში სხვადასხვა ფართების სხვადასხვა პირებზე რეგისტრაციას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სრეშ-ის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდება ან მათში მოცემული უძრავი ნივთის ფართობი, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევისა, აღემატება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უძრავი ნივთის ფართობს, სარეგისტრაციო სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების თაობაზე და მისი აღმოფხვრის მიზნით უნიშნავს ვადას განმცხადებელს. სრეშ-ის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი სარეგისტრაციო წარმოება სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ შეჩერებულა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონმდებლობით იმპერატიულად აკრძალულია უძრავ ნივთზე ურთიერთსაინააღმდეგო რეგისტრაციის განხორციელება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ არ იყო დადგენილი თავდაპირველი მესაკუთრის მიერ ერთი და იმავე ფართის სხვადასხვა პირებზე რამდენიმეჯერ გაყიდვა, ასევე ჯერონად არ იყო დადგენილი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართებზე უფლებების გადაფარვა, ერთსა და იმავე ფართზე რამდენიმე რეგისტრაციის არსებობა.

საკასაციო პალატის განმარტებით, სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლებით გათვალისწინებულ „გამსხვისებელში“ იგულისხმება პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი გაასხვისოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული უფლება. იმ შემთხვევაში, როდესაც უძრავ ნივთს ასხვისებს საამისოდ არაუფლებამოსილი, მაგრამ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირი, მნიშვნელობა ენიჭება სკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაწესს. კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა არ ადასტურებს სკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული მყიდველის ფართის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევის გამომრიცხავი გარემოებების არსებობას და განმარტა, რომ სადავო ფართების განსხვავებული ოდენობა ადასტურებს არა ფართების იგივეობას, არამედ პირიქით, მათ სხვაობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

4.4. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლები

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონტროლი

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები და 29-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-598-591(კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ფოთის საქალაქო სასამართლოს 28.11.2014წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.04.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი სადავო აქტების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სრემ-ის მე-2 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო სამსახურმა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მართებულად შეაჩერა და შეწყვიტა სარეგისტრაციო საქმის წარმოება, ვინაიდან მოსარჩელის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები ზედდებაში მოდიოდა მოპასუხის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებთან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში დავის არსს და სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს, სრემ-ის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესის არსებობის პირობებში, რამდენად გააჩნდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – ტერიტორიული მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის უფლებამოსილება და თუ გააჩნდა, რა შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. ფოთში დამწვარია ტექ. ბიურო, მონაცემები განადგურებულია და მოქალაქეები რეგისტრაციას ახორციელებენ მათ ხელთ არსებული დოკუმენტებით, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა გამოყენებინა სრემ-ის მე-2 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ამდენად, ადმინისტრაციულსამართლებრივი

აქტის ბათილად ცნობისათვის აუცილებელია, რომ ერთ შემთხვევაში (ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ აქტის ბათილად ცნობა) სახეზე ვლინდებოდეს ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივა შეამონმოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერება, მეორე შემთხვევაში კი (ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა), დაინტერესებული პირის საჩივარი უკვე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობის შემოწმების, გაბათილების მოთხოვნით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა³².

ამდენად, საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ტერიტორიული სამსახურების გადანყვეტილების კონტროლის/გადამონმების შესაძლებლობა, რის გამოც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო სადავო აქტები და დაევალა ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

4.5. საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღების დამატებითი პირობები; სარჩელის უზრუნველყოფისა და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციების განსხვავება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იღებს გადანყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები;

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას, მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, ანუ სანივთო უფლების ფუნქცია კი შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა.

- „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, მე-18 მუხლის პირველი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-608-601(2კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 07.05.2014წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.02.2015წ. გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.06.2015წ. გადანყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადანყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 7 მაისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტი-

³² აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე სუსგ № ბს-1695-1651(კ-10), 25.05.2011წ.

ლება; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხოს შპს-ს სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლო/საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა მხოლოდ ამავე სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეების მიერ და მისი აღსრულებით არ შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირის კანონით დაცული უფლება. მოცემულ შემთხვევაში კი, ადმინისტრაციული ორგანო, დასახელებული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემით დაარღვია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის უფლების მქონე პირთა უფლებების სამართლიანი ბალანსი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, უტყუარობისა და სანდოობის პრეზუმფციის მიუხედავად, ვერ აღსრულდება პირის მიმართ, რომელიც დავაში არ მონაწილეობს. ეს კი ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას სავალდებულო, ანუ აღსასრულებელი ძალა გააჩნია უშუალოდ მოდავე მხარეთათვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველი დავის ფარგლებში უნდა გადაწყდეს, უფლებამოსილი იყო თუ არა საჯარო რეესტრი, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დაერეგისტრირებინა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა, ისეთ პირობებში, როდესაც ამ ქონებაზე სხვა დავის ფარგლებში გამოყენებული იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო აქტებს შორის იერარქია არ არსებობს და კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ან განჩინება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად. როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით რაიმე ვალდებულება შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ პირს, რომელიც საქმის განხილვაში ჩაბმული იყო. თუ გადაწყვეტილება შეეხება იმ პირის ინტერესებს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმეში, ეს გარემოება, შეიძლება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი გახდეს, თუმცა საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი მოცემულობა არ გვაქვს სახეზე.

„საჯარო რეესტრის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.2010წ. №4 ბრძანების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნივთზე რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა (მისი შინაარსის გათვალისწინებით) გამორიცხავს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარეგისტრაციო დოკუმენტს წარმოადგენს სასამართლო/საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ საჯარო რეესტრს შეუძლია დაარეგისტროს მხოლოდ იმ სასამართლო/არბიტრაჟის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი, რომელიც მიღებულია იმავე საქმეზე, რაზეც გამოყენებული იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ამგვარ შეზღუდვას ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს.

საკასაციო პალატის განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, ანუ სანივთო უფლე-

ბის ფუნქცია კი შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ანაცვლებს.

პალატამ აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.2010წ. №4 ბრძანების მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.12.2013წ. განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და სადავო უძრავი ქონება ყადაღისაგან გათავისუფლდა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობდა, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი კანონიერია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი სადავო აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

5. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და უძრავი ქონების რეგისტრაცია

5.1. ერთ ნაკვეთზე ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების დაუშვებლობა

მარეგისტრირებელი ორგანო პასუხისმგებელია სარეგისტრაციო მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე;

დაუშვებელია ერთ ნაკვეთზე ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების არსებობა; საკადასტრო მონაცემების ზედდება არ გამოორიცხავს ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების დაუშვებლობას

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, 3.6 მუხლი და 23-ე მუხლის „ვ“¹ ქვეპუნქტი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განმარტება საქმეზე №5-5(6კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 06.06.2014წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაფარვის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები, მოპასუხეებს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გამოცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.10.2014წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას სადავო აქტების სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობას მაშინ, როდესაც არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არ მიუთითებია თუ რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის დადგენა შეუძლებელია სასამართლოში.

ორივე ინსტანციის სასამართლო შემოიფარგლა პირველად რეგისტრაციებზე მსჯელობით, არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია დანარჩენი აქტებისა და განხორციელებული რეგისტრაციების შესახებ და მიუთითა, რომ ამ ეტაპზე მათი ბათილად ცნობა შეუძლებელია. სასამართლოს არ უმსჯელია შემდეგი რეგისტრაციებისა და მათი საფუძვლების კანონიერებაზე, არ დაუდგენია ამ მიმართებით ფაქტობრივი გარემოებანი. არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების, ქონებაზე ყადაღის დადების პირობებში ახალი მე-საკუთრებების კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევის შესაძლებლობის საკითხზე. პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა დასაბუთების გარეშე უარი თქვეს სადავო ნაკვეთის მიმართ განხორციელებული რეგისტრაციებისა და მათი საფუძვლების გაუქმების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სახელმწიფოსა და თვითმმართველ ერთეულზე პირველადი რეგისტრაციების შესახებ გადანიჭვითი ნებები ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა მინის ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობის გარკვევის გარეშე.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სრემ-ის 23-ე მუხლის „ვ1“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების არსებობა, ამავე კანონის 3.6 მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო პასუხისმგებელია სარეგისტრაციო მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო სამსახურს არ შეუდარებია სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სააღრიცხვო ბარათებთან და ამონაწერებთან. აღნიშნულმა გამოიწვია ერთ ნაკვეთზე ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების განხორციელება. სარეგისტრაციო განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე რეგისტრაციის შესრულება, არ გამოიწვევს მონაცემების გადამონმების ვალდებულებას, სარეგისტრაციო ორგანოს ვალდებულებას – არ დაუშვას ერთი და იმავე ობიექტზე ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების არსებობა. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებელოფით არაერთგზის დაარეგისტრირეს სხვადასხვა სუბიექტის უფლება ქონებაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სრემ-ის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკადასტრო მონაცემების ზედდება გულისხმობს უძრავი ნივთის ან მისი ნაწილის საკადასტრო მონაცემების იდენტიურობას უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის ან მისი ნაწილის საკადასტრო მონაცემებთან. ამდენად, ზედდება არ გამოიწვევდა ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების დაუშვებლობას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლებას მხოლოდ რეგისტრაცია არ წარმოშობს, რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც სრემ-ის შესაბამისად განეკუთვნება სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. დაუშვებელია რეგისტრაციის გაბათილება მისი საფუძვლის ძალაში ყოფნის პირობებში.

საკასაციო პალატამ, ასევე აღნიშნა, რომ პირველად რეგისტრაციებთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ მოყვანილი მოსაზრებები ქმნიდა მათი არა სას.კ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის, არამედ 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის პირობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებულნი განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

5.2. მიწის რეგისტრაციის კანონიერების შემოწმება

მიწის სახელმწიფო რეგისტრაციისას ურთიერთობათა ერთ მხარეს წარმოადგენს ამ ქონების მესაკუთრე ან ამ ობიექტის მიმართ სხვა კანონიერი სანივთო უფლების მქონე ნებისმიერი პირი, ხოლო მეორე მხარეს – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი

- „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი³³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-255-253(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სენაკის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურის 27.12.1999წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრაცია.

სენაკის რაიონული სასამართლოს 13.05.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.12.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის კომპეტენციას 1998 წლის 10 იანვრის შემდეგ აღარ მიეკუთვნებოდა უძრავ ქონებაზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობაზე საკუთრებისა თუ სხვა უფლების რეგისტრაცია, შესაბამისად, 1998 წლის 10 იანვრამდე გაცემული ტექნიკური პასპორტი ადასტურებდა უფლების რეგისტრაციის ფაქტს, ხოლო 1998 წლის 10 იანვრის შემდეგ გაცემული ტექნიკური პასპორტი – მხოლოდ შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მდგომარეობას და არა უფლების რეგისტრაციის ფაქტს, შესაბამისად, პალატამ დაასკვნა, რომ ტექნიკური ინვენტარიზაციის მარტვილის ბიუროს მიერ 17.12.1999წ. გაცემული პასპორტი ვერ განიხილება მიწის ნაკვეთზე უფლების წარმომშობ მტკიცებულებად.

არც სააპელაციო და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელის იმ მითითებაზე, რომ რეგისტრაციის მომენტში უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი და არა 1996 წლიდან გაუქმებული კომერციული ბანკი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მრმ-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის სახელმწიფო რეგისტრაციისას ურთიერთობათა ერთ მხარეს წარმოადგენს ამ ქონების მესაკუთრე ან ამ ობიექტის მიმართ სხვა კანონიერი სანივთო უფლების მქონე ნებისმიერი პირი: საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს და სხვა ქვეყნის იურიდიული პირი, საერთაშორისო ორგანიზაცია, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მეორე მხარეს კი – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ 25.06.1996წ. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება კომერციული ბანკის მარტვილის ფილიალისათვის საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვის შესახებ, ვინაიდან კომერციულ ბანკს საქარ-

³³ ამჟამად აღნიშნულ ურთიერთობას აწესრიგებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

თველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 02.08.1991წ. დადგენილების მოთხოვნათა შე-საბამისად ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია. მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრის გადანყვეტილებით უძრავი ქონება არარსებული სუბიექტის სახელზე დარეგისტრირ-და.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, კონ-კრეტულად ვისი სახელით წარადგინა მოსარჩელემ 1999 წელს უძრავი ქონების რეგის-ტრაციის შესახებ განაცხადი, საკუთარი თუ ბანკის მარტვილის ფილიალის, უნდა გა-მოეკვლია, საჯარო რეესტრის უფლებამოსილების ფარგლები აღნიშნული განაცხადე-ბის საფუძველზე რეგისტრაციის განხორციელებისას, უძრავი ქონების სავარაუდო მე-საკუთრის სტატუსი.

საკასაციო პალატამ, ასევე აღნიშნა, რომ გასარკვევია წარმოადგენს თუ არა ის ფაქტი, რომ კომერციული ბანკი რეგისტრაციის მომენტისათვის კანონის შესაბამისად გაუქ-მებულად იყო მიჩნეული, ქონების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებუ-ლი განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

5.3. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვა

მხოლოდ ის სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ექვემ-დებარება საკუთრების უფლების აღიარებას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრე-ბაშია ანუ მთავარი კრიტერიუმი არის ის, რომ მიწა უნდა იყოს სახელმწიფოს სა-კუთრება და იგი არ უნდა იყოს განკარგული სახელმწიფოს მიერ

- „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარ-გებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი
- „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარ-გებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მონაშობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულე-ბის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე № ბს-276-274(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.07.2015წ. გადანყვეტილებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 31.05.2015წ. საოქმო გადან-ყვეტილებისა და 18.01.2012წ. გაცემული საკუთრების უფლების მონაშობის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.12.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.07.2015წ. გადან-ყვეტილება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის არსს ვერ შეცვლის სადავო მი-წის ნაკვეთზე აჭარის ა/რ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტი, ვინაიდან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (სადავო აქტების გამოცემის

დროს მოქმედი რედაქციით) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, „სახელმწიფო ქონების განკარგვა“ განმარტებული იყო, როგორც სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მართვის უფლებით გადაცემა, რეალიზაცია, განაწილება და განადგურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, მიწის ნაკვეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემა არ გულისხმობდა სახელმწიფოს მიერ ქონების განკარგვას და არ წარმოადგენდა ფიზიკური პირის სასარგებლოდ, თვითნებურად დაკავების საფუძვლით, საკუთრების უფლების აღიარების დამაბრკოლებელ გარემოებას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მოთხოვნა (განცხადება) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ განიხილა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 15.09.2007წ. №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მოთხოვნების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მხოლოდ ის სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია, ანუ მთავარი კრიტერიუმი არის ის, რომ მიწა უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრება და იგი არ უნდა იყოს განკარგული სახელმწიფოს მიერ.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ადმინისტრაციულ წარმოებაში უნდა მოიწვიოს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, შეაფასოს სახელმწიფოს მიერ „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 2 მარტის №151 განკარგულების საფუძველზე, მოხდა თუ არა უძრავი ქონების იმგვარი განკარგვა, რა დროსაც სადავო მიწის ნაკვეთი არ ექცევა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მონმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მოქმედების სფეროში თუ იგი აჭარის ა/რ-ის საკუთრებაა და მან უნდა მოახდინოს კანონმდებლობის შესაბამისად ქონების განკარგვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო სადავო აქტები და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

6. საგადასახადო და საბაჟო დავები

6.1. საგადასახადო ორგანოსგან მამკვიდრებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობა

საგადასახადო ურთიერთობებში ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა წარმოადგენს საერთო ვადას, რა პერიოდშიც როგორც საგადასახადო ორგანოს, ისე თავად გადასახადის გამდებელს შეუძლია გადასახდელ თუ უკვე გადახდილ გადასახადებთან დაკავშირებით წარადგინონ შესაბამისი მოთხოვნები;

მემკვიდრეზე უფლებები გადადის ისეთივე ფორმით და მოცულობით, როგორც ეს ჰქონდა მამკვიდრებელს, ამდენად მემკვიდრის, როგორც „ვალდებული პირის“ მოთხოვნის შესრულება ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე სავალდებულო იყო საგადასახადო ორგანოსათვის, თუმცა მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით

- საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლის მე-2 ნაწილი³⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-680-672(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც შემოსავლების სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ინდივიდუალური მენარმის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტობის – 5 500 ლარის დაბრუნების დავალება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.02.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.06.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის სადავო ბრძანება და შემოსავლების სამსახურს დაევალა ინდივიდუალური მენარმის დღგ-ს პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, გადასახადის გამდებელის გარდაცვალების შემთხვევაში მის მამკვიდროში შემავალი ქონებრივი აქტივები მემკვიდრეზე გადადის მამკვიდროს მიღების ზოგადი წესების საფუძველზე, რაც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით და ამ უფლებების განხორციელება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით ვერ შეიზღუდება. მემკვიდრე, რომელსაც არ გაუგრძელებია გადასახადის გამდებელის ეკონომიკური საქმიანობა, საგადასახადო სამართალურითერობის მონაწილე სუბიექტს არ წარმოადგენს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია იმის მტკიცება, რომ მოსარჩელემ გაუშვა ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის მოთხოვნის, ასევე ამ თანხის დაბრუნებაზე საგადასახადო ორგანოს უარის გასაჩივრების საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები.

³⁴ ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა გათვალისწინებულია 2004 წლის საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლით და 2010 წლის საგკო-ს მე-4.8 მუხლით, 2017 წლის 1 იანვრიდან გადასახადი გამდებელის საგადასახადო ორგანოსათვის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა სკ-ის 1421-ე მუხლი, შესაბამისად, მოსარჩელემ სახელმწიფოსაგან უნდა დაიბრუნოს კუთვნილი თანხა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის 21.10.2014წ. ბრძანება, რომლითაც საჩივარი არ დაკმაყოფილდა გადასახადი გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სადავო პერიოდში, 2003-2004 წლებში მოქმედი საგკო-ს 237-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილი იყო საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოეთხოვა ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა. ეს ვადა აითვლებოდა შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საგადასახადო ურთიერთობებში ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა წარმოადგენს საერთო ვადას, რა პერიოდშიც როგორც საგადასახადო ორგანოს, ისე თავად გადასახადის გადამხდელს შეუძლია გადასახდელ თუ უკვე გადახდილ გადასახადებთან დაკავშირებით წარადგინოს შესაბამისი მოთხოვნები.

ამდენად, ინდ.მენარმისთვის (მამკვიდრებლისთვის) 31.05.2003წ. ზედმეტად განხორციელებული გადასახადის დაბრუნების მოთხოვნის უფლების ვადის ათვლა დაიწყო საგადასახადო წლის დასრულებიდან და განისაზღვრა 6 წლით.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ გარდაცვლილი მამის სამკვიდრო ქონების მიღებით 2006 წლის 1 მაისიდან მოსარჩელე გახდა ვალდებული შეესრულებინა გარდაცვლილის საგადასახადო ვალდებულებები, ანუ მოსარჩელე წარმოადგენდა საგკო-ს 57-ე მუხლით გათვალისწინებულ „ვალდებულ პირს“. შესაბამისად, იგი სარგებლობდა უფლებით მიეღო ზედმეტად გადახდილი თანხა. ამასთან, ვინაიდან ამ თანხის გადახდა განხორციელებულია 2003 წლის 31 მაისს, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა მოსარჩელისათვისაც განსაზღვრული იყო 2003 წლის საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან, ე.ი. 2003 წლის 31 დეკემბრიდან – 6 წლით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ხანდაზმულობის ვადის დასრულებიდან 4 წლისა და 8 თვის შემდეგ მიმართა საგადასახადო ორგანოს მამკვიდრებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი.

6.2. გასვლითი საგადასახადო შემონმება

გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარებისას სავალდებულოა შედგეს საგადასახადო შემონმების აქტი. გადასახადის გადამხდელის მიმართ სამართლებრივი შედეგები დგება მხოლოდ საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე;

განმეორებით გასვლითი საგადასახადო შემონმებისათვის სასამართლო ნებართვის საჭიროება არ არსებობს, თუ პირველი შემონმება რეალურად არ ჩატარებულა

- 2010 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 255-ე, 263-265-ე, 267-ე და 268-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის განმარტება საქმეზე №649-641(კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.12.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 11.09.2013წ. ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.06.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სადავო ბრძანება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება მოსარჩელის საქმიანობის იმავე პერიოდებისა და იმავე სფეროს შემონმების შესახებ, რა პერიოდი და სფეროც საგადასახადო ორგანომ უკვე შეამონმა გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემონმების ფარგლებში, ეწინააღმდეგებოდა საგკო-ს 255-ე მუხლის დანაწესს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საგადასახადო ორგანოს მიერ გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემონმების შედეგების ამსახველი საგადასახადო შემონმების აქტის შედგენის ვალდებულების დარღვევამ არ ქმნის სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება იმავე პერიოდზე და იმავე გადასახადებზე შპს „...“ გასვლითი საგადასახადო შემონმების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელია საგადასახადო ორგანოს მოქმედების კანონიერება ისეთ პირობებში, როდესაც გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემონმების დაწყების შესახებ ბრძანება საგადასახადო ორგანომ თავად გააუქმა და შემდგომში გამოსცა გასვლითი საგადასახადო შემონმების დაწყების შესახებ ბრძანება იმავე პერიოდზე, იმავე სფეროზე.

საგკო-ს 263-ე-265-ე მუხლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კამერალური საგადასახადო შემონმებისაგან განსხვავებით, გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარებისას სავალდებულოა შედგეს საგადასახადო შემონმების აქტი. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა, რამდენად შესაძლებელია, გასვლითი საგადასახადო შემონმება ჩატარებულად იქნეს მიჩნეული, როდესაც საგადასახადო შემონმების აქტი არ შემდგარა საგკო-ს 267-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გასვლითი საგადასახადო შემონმება სრულდება საგადასახადო შემონმების აქტის შედგენით. აქტის შედგენა წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს ვალდებულებას.

საგკო-ს 268-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელის მიმართ სამართლებრივი შედეგები დგება მხოლოდ საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე. საგკო-ს 255-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია პირის საქმიანობის უკვე შემონმებული საკითხის იმავე პერიოდის ხელახალი შემონმება, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მიხედვითაც პირი უკვე შემონმებულ პერიოდზე შესწორებულ საგადასახადო დეკლარაციას წარადგენს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო, გასვლითი საგადასახადო შემონმების პროცესს არ დაასრულებს კანონით დადგენილი წესით, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი საქმიანობის შეფერხებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნება არა ის გარემოება, რომ საგადასახადო ორგანომ შემონმების თაობაზე აქტი არ შეადგინა, არამედ ის ფაქტი, თუ რამდენად განახორციელა გასვლითი საგადასახადო შემონმების ფარგლებში კანონით დაშვებული ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ნებართვის საჭიროება განმეორებით გასვლითი საგადასახადო შემონმებისათვის არ არსებობდა იმის გამო, რომ პირველი შემონმება რეალურად არ ჩატარებულა და შემოსავლების სამსახურს რაიმე ღონისძიებები მოსარჩელის მიმართ არ გაუტარებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი.

6.3. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებისა და საგადასახადო მოთხოვნის ერთდროულად გასაჩივრება

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად, შესაბამისად, საგადასახადო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მითითებული დოკუმენტების გადასახადის გადამხდელისათვის ერთდროულად წარდგენა;

საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადის ამოწურვა არ გამორიცხავს შემოსავლების სამსახურის ბრძანებაზე საჩივრის განხილვის ვალდებულებას

- 2010 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 268-ე და 299-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-770-762(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა შემოსავლების სამსახურის 24.09.13წ. ბრძანებისა და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 23.04.14წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.14წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის 08.09.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საგკო-ს 64-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო

დო მოთხოვნა არის გადახდის მოთხოვნის საფუძველი, შესასრულებლად სავალდებულო აქტი და სწორედ მისი გასაჩივრებით იწყება საგადასახადო დავა.

სააპელაციო პალატამ საგკო-ს 268-ე და 299-ე მუხლების საფუძველზე განმარტა, რომ საგადასახადო დავა იწყება საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებით და მხოლოდ მასთან ერთად დაიშვება საგადასახადო შემონმების აქტისა და დარიცხვის ბრძანების გასაჩივრება, რის გამოც საგკო-ს შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ათვლა უკავშირდება საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების თარიღს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საგკო-ს 299-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო შემონმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ დოკუმენტების საფუძველზე, გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში საჩივრდება. აღნიშნული კოდექსით დადგენილ ვადას აღმკვეთი ხასიათი აქვს, დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასულია საჩივრის წარდგენის ვადა³⁵.

საკასაციო პალატის განმარტებით, უფლებამოსილი ორგანოს მიერ საჩივრის განხილვაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა იწვევს გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვას. გასაჩივრების ვადის გასვლა ქმნის საგადასახადო დავალიანების აღიარებულად მიჩნევის პირობას³⁶, რის გამოც არსებითი მნიშვნელობა აქვს გასაჩივრების ვადის ამონურვის მომენტის დადგენას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საგადასახადო კანონმდებლობა ადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების სპეციალურ დანაწესს, კერძოდ, საგკო-ს 44.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობით ან ელექტრონული ფორმით. საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე³⁷. გადამხდელის მიერ შეტყობინების გაცნობის შესახებ საგადასახადო ორგანოს ინფორმაცია მიეწოდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან³⁸.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საგკო-ს 299-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, დავის დაწყება დასაშვებია, თუ დადგინდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ გაგზავნილია მომჩივანს, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ცნობილი გახდა მომჩივნისათვის.

საკასაციო პალატამ საგკო-ს 268-ე და 299-ე მუხლების საფუძველზე განმარტა, რომ არსებით სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს გადასახადის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება. შემონმების აქტი არის გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, რომელიც იძლევა გადაწყვეტილების ფორმალური მართებულობის შემონმების შესაძლებლობას, ხოლო საგადასახადო მოთხოვნა წარმოადგენს გადაწყვეტილების შესაბამისად დაკისრებული თანხის მოთხოვნისა და გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებას. გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ქმნის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველს.

³⁵ იხ. საგკო-ს 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

³⁶ იხ. საგკო-ს 8.5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

³⁷ იხ. საგკო-ს 44.9 მუხლი.

³⁸ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.106. N№996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 12.3 მუხლი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო მოთხოვნის გაცნობიდან გასაჩივრების ვადის ათვლა შესაძლებელია 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესის დაცვის (საგადასახადო მოთხოვნის და გადაწყვეტილების ასლის ერთად წარდგენის) შემთხვევაში, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად, ამდენად საგადასახადო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მითითებული დოკუმენტების გადასახადის გადამხდელი-სათვის ერთდროულად წარდგენა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან გადასახადის გადამხდელს მოგვიანებით გაეგზავნა გადასახადების დარიცხვის შესახებ ბრძანება, გადასახადის გადამხდელმა ბრძანებაში მითითებულ ვადაში გაასაჩივრა აქტი, მოქმედი კანონმდებლობა ვალდებულს ხდიდა საგადასახადო ორგანოს, განეხილა საჩივარი. მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადის ამონურვა არ გამოორიცხავდა შემოსავლების სამსახურის ბრძანებაზე საჩივრის განხილვის ვალდებულებას, ვინაიდან ბრძანების გასაჩივრების ვადა არ იყო გაშვებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სადავო აქტები და მოპასუხეს დაევალა წარდგენილი საჩივრის განხილვა.

6.4. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შემცირებისას ახალი კანონით განსაზღვრული შემსუბუქებული პასუხისმგებლობის გამოყენება

თუ საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, დავის განმხილველი ორგანო ვალდებულია გამოიყენოს ახალი კანონით დადგენილი ნორმა;

თუ დავის განხილვის დასრულებამდე საგადასახადო სანქცია შემცირდა, უნდა შემცირდეს საგადასახადო სამართალდამრღვევ პირზე დაკისრებული ჯარიმები

- 2010 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის 2¹-ე ნაწილი, 289-ე მუხლის მე-2 ნაწილი
- „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების 26.1, 27.3 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განმარტება საქმეზე № ბს-116-115 (3კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა საბაჟო დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 14.08.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.12.2015წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქ-

ნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ შედგენილი 04.06.2014წ. სამართალდარღვევის ოქმი და შემოსავლების სამსახურის 26.08.2014წ. გადაწყვეტილება, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 05.12.2014წ. გადაწყვეტილება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ხორციელდება საქონლის გატანა, ექვემდებარება სავალდებულო ნიშანდებას. ამდენად, იდენტიფიკაციის საშუალებები მკაცრ აღრიცხვას ექვემდებარება და საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე მათი მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება ან განადგურება, ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევისათვის – დამოუკიდებელ შემთხვევად განიხილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით და კომპანიას არ ჩაუდენია საგკო-ს 290-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – საბაჟო საწყობის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგკო-ს 289-ე მუხლის მე-2 ნაწილი საქონლის უკანონოდ განკარგვის საფრთხის თავიდან აცილებას ემსახურება და ადგენს სანქციას იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/მოცილებაზე, რაც გამოყენებულია კიდევ მოსარჩელის მიმართ, ხოლო საგკო-ს 290-ე მუხლით დადგენილია სანქცია სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის და მასში არ მოიაზრება ისეთი ქმედება, რისთვისაც კანონით ცალკე არის დადგენილი პასუხისმგებლობა, მით უფრო, რომ 289-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია – 290-ე მუხლის პირველ ნაწილზე მკაცრია. კომპანიის მიმართ ერთი და იმავე ქმედებისათვის ორი სხვადასხვა ნორმის საფუძველზე იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელი, რაც ეწინააღმდეგება საგკო-ს 270-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საბაჟო ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც არსებობს საქონლის ნიშანდების აუცილებლობა მისი შემდგომი იდენტიფიკაციისათვის ან/და საჭიროა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება მათი ნიშანდება იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით. იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) ისე უნდა იქნეს დადებული, რომ გამოირიცხოს დაუზიანებლად მისი მოხსნა/მოცილება და შეუძლებელი იყოს საქონელთან მისვლა ან კვალის დატოვების გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში უკანონო შეღწევა³⁹. იდენტიფიკაციის საშუალებები მკაცრ აღრიცხვას ექვემდებარება და საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე მათი მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება, ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევისათვის – დამოუკიდებელ შემთხვევად განიხილება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგკო-ს 269-ე მუხლის მე-2¹ ნაწილის თანახმად, თუ საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, დავის განმხილველი ორგანო ვალდებულია გამოიყენოს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. ამავე კოდექსის 296-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საგადასახადო დავა შესაძლებელ

³⁹ იხ. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების 27.3 მუხლი.

ლია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში. ამდენად, თუ სასამართლოში საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სამართალდარღვევისათვის სანქცია შემცირდა, სასამართლო ვალდებულია, ახალი ნორმით იხელმძღვანელოს.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ საგკო-ს 289-ე მუხლის მოქმედი რედაქციით სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა ორ ნაწილად გაიყო და ცალკე სამართალდარღვევად გამოიყო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება, რასაც ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება მოჰყვება შედეგად, კერძოდ, 289-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება, ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალების ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობის ან ნიშანდებული ბარგის/ხელბარგის დაზიანება, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება იმგვარად დადებული იდენტიფიკაციის საშუალებით, რომელიც მასში იდენტიფიკაციის საშუალების დაზიანების გარეშე შელწევის საშუალებას იძლევა, იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამავე მუხლის მე-3¹ ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, რამაც გამოიწვია ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებიდან ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობიდან ან ნიშანდებული ბარგიდან/ხელბარგიდან საქონლის განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე ლუქის ახსნა გახდა და ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის დაკარგვას ან განკარგვას ადგილი არ ჰქონია, ამდენად, აღნიშნული სამართალდარღვევა საგკო-ს მოქმედი რედაქციით 289-ე მუხლის მე-2 ნაწილით კვალიფიცირდება და სანქციის სახედ 500-ლარიანი ჯარიმაა დადგენილი. ვინაიდან დავის განხილვის დასრულებამდე საგადასახადო სანქცია შემცირდა, შესაბამისად უნდა შემცირდეს მოსარჩელეზე დაკისრებული ჯარიმები 500-500 ლარამდე თითოეული სამართალდარღვევისათვის⁴⁰.

⁴⁰ აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, ხოლო საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე კანონით შემსუბუქებული პასუხისმგებლობის გამო.

6.5. ავტოგასამართ სადგურებში მარიგებელი სვეტის მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმის დალუქვის აუცილებლობა

ავტოგასამართ სადგურებში მარიგებელი სვეტის მადოზირებელ სვეტზე საგადასახადო ორგანოს ლუქის არქონა, ანუ, დაულუქავი მექანიზმიდან სანვავის გაცემის რისკის შექმნა წარმოადგენს სამართალდარღვევას;

საგადასახადო ორგანოს ლუქებით დალუქვას ექვემდებარება ყველა მარიგებელი სვეტი, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს სვეტი სანვავის მისაწოდებლად.

- საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-9 ნაწილი
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 23-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 აგვისტოს განმარტება საქმეზე №ბს-182-181(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმებისა და შემოსავლების სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.03.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.11.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სადავო საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები და შემოსავლების სამსახურის 08.05.2014წ. ბრძანება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმისათვის, რათა ქმედება დაკვალიფიცირებულიყო საგკო-ს 281-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად, სახეზე უნდა ყოფილიყო ავტოგასამართ სადგურში დაულუქავი მადოზირებელი მექანიზმით სანვავის გაცემის დადასტურებული ფაქტები, ანუ ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ იმაზე კი არ უნდა გაეკეთებინა მითითება, რომ ასეთი დაულუქავი სვეტები სადგურში განთავსებული იყო, არამედ უნდა დაედასტურებინა, რომ სუბიექტი ასეთი მექანიზმით ეწეოდა საქმიანობას, რაც იმას ნიშნავს, რომ დაულუქავი მექანიზმიდან სანვავის გაცემა უნდა მომხდარიყო. სასამართლოს მითითებით, არ განხორციელებულა საკონტროლო შესყიდვა, რომლითაც დადასტურდებოდა ასეთი სვეტიდან საქმიანობა (სანვავის გაცემა), ამასთან, არ შემონმებულა, ეს სვეტები მიერთებული იყო თუ არა სანვავის წყაროს და არსებობდა იმის მაღალი ალბათობა, რომ მათგან, იმ მომენტში თუ არა სხვა დროს შესაძლოა, განხორციელებულიყო სანვავის გაცემა, ანუ ადგილი ჰქონდა საქმიანობას, რაც მოგვცემდა მოცემული მუხლით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საგკო-ს 281-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე, სამართალდარღვევას წარმოადგენს თავისთავად მადოზირებელ მექანიზმზე ლუქის არქონა, ანუ დაულუქავი მექანიზმიდან სანვავის გაცემის რისკის შექმნა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, მაკონტროლებელი ორგანო ან იყო ვალდებული, განეხორციელებინა საკონტროლო შესყიდვა, რომლითაც დადასტურდებოდა ასეთი სვეტები მიერთებული იყო თუ არა სანვავის წყაროსთან.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების ჩამონერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის“⁴¹ 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საგადასახადო ორგანოს ლუქებით დალუქვას ექვემდებარება აგს-ში არსებული ყველა მარიგებელი სვეტი, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს სვეტი სანვავის მისაწოდებლად. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგკო-ს 281.9 მუხლი სწორედ ამ ნორმასთან ერთობლივად უნდა განიხილოს. აღნიშნული წესის საფუძველზე, სავალდებულოა ლუქის დადება იმ მარიგებელ სვეტებზეც, რომლებიც სანვავის გასაცემად არ გამოიყენება და შესაძლოა, მომავალშიც არ იქნეს გამოყენებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმებისა და შემოსავლების სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

6.6. შემოსავლების სამსახურის ბრძანების გასაჩივრების წესი

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასულია საჩივრის წარდგენის ვადა;

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ მომჩივანი დაამტკიცებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული

- საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსის 299-ე, 305.1 მუხლები და 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-490-485(2კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 10.12.2014წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.06.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.03.2016წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

⁴¹ დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით.

სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტის გამოცემის დროს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეისწავლა, შემოსავლების სამსახურის აქტის გასაჩივრების ვადის გაშვება გადასახადის გადამხდელის მიერ ხომ არ მომხდარა საპატიო მიზეზით, კერძოდ, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს შემოსავლების სამსახურის აქტის დროულად გასაჩივრების ფიზიკური შესაძლებლობა და ხომ არ არსებობდა საქართველოს საგკო-ს 299-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მისი არსებითად განხილვის საფუძველი, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ერთი დღით არის დარღვეული შემოსავლების სამსახურის ბრძანების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ საქმეზე შეფასების საგანია, მოსარჩელემ საპატიო მიზეზით გაუშვა თუ არა შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილების დავეების განხილვის საბჭოში გასაჩივრების ვადა, ამ გარემოების გამოკვლევა და შეფასება შესაძლებელია ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე.

საგკო-ს 305-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ მომჩივანს უფლება აქვს, გადანყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავეების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში. იმავე კოდექსის 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასულია საჩივრის წარდგენის ვადა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საგკო-ს 299-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ მომჩივანი დაამტკიცებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული. აღნიშნული მუხლის გამოყენებისათვის მომჩივანმა უნდა დაადასტუროს, რომ საჩივრის წარდგენის ვადის განმავლობაში მოქმედებდა ისეთი დაუძლეველი ძალა, რაც საჩივრის შეტანას შეუძლებელს ხდიდა ან არსებობდა სხვა საპატიო მიზეზი, რაც ობიექტურად გამორიცხავდა გასაჩივრების შესაძლებლობას. საგკო არ განსაზღვრავს რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვადის გადაცილების საპატიო მიზეზად, ამდენად, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტური შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ გაცემული ჯანმრთელობის ცნობით არ დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ კანონით დადგენილ ვადაში საჩივრის წარდგენის შეუძლებლობა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე არის იურიდიული პირი, რომლის სახელითაც მოქმედებებს, ჩვეულებრივ, დირექტორი ახორციელებს და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სწორედ ეს უკანასკნელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტია, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოში საჩივრის შეტანის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადანდობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადანყვეტილებით გააუქმა გასაჩივრებული წინა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩელი ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავეების განხილვის საბჭოს 10.12.2014წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

7. სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები

7.1. მშენებლობის ნებართვის გაცემა; სასამართლო კონტროლი დისკრეციულ უფლებამოსილებაზე

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მშენებლობის ნებართვა გაცეს დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო უარი ნებართვის გაცემაზე უნდა იყოს დასაბუთებული;

სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე გულისხმობს აქტის კანონიერების, დასაბუთებულობის შემოწმებას და არა შინაარსის კონტროლს

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7, 96-ე და 102-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-211-210(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.10.2015წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.01.2016წ. განჩინებით უცვლელი დარჩა გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა მოსარჩელისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებზე, ვინაიდან იმავე საკითხზე უკვე არაერთხელ იმსჯელა. პალატამ აღნიშნა, რომ ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება ტერიტორიის გამწვანება, რთული რელიეფი და მშენებლობისათვის შეუსაბამო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.05.2015წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა, რაც ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს არ შეუსრულებია. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურმა გაიმეორა ბათილად ცნობილი გადაწყვეტილების მოკლე დასაბუთება და საკითხი ფორმალურად გადაწყვიტა სზაკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაცემა სამ სტადიად, თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული წესის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სამივე სტადიას აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. მხოლოდ წინა სტადიით გათვა-

ლისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული წესის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ნებართვის გაცემის სტადიებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს სზაკ-ის IV თავით ადმინისტრაციული აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სზაკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, შემოფარგლულიყო მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საკითხი უკვე განიხილა და სზაკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით ეთქვა უარი განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე გულისხმობს აქტის კანონიერების, დასაბუთებულობის შემოწმებას და არა შინაარსის კონტროლს. სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს გამოცემულია თუ არა სადავო აქტი სზაკ-ის 96-ე მუხლის შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.01.2016წ. განჩინება და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 01.07.2015წ. ბრძანება და მასვე დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

7.2. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებისა და წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობა და განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამობა

მინის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც თავისი მახასიათებლებით (ფართობი, კონფიგურაცია) არ შეესაბამება ზონის განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, იძენს განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო მინის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სტატუსს

- „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი, 32-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-289-287(2კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: განსახილველ შემთხვევაში,

სადავო არქიტექტურის სამსახურის უარი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.10.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 16.02.2015წ. ბრძანება მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე უარის თქმის შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.02.2016წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატის აზრით, ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რომელი გარემოება განაპირობებს მიწის ნაკვეთისთვის „იძულებით შეუსაბამო“ უძრავი ობიექტის სტატუსის მინიჭების კანონიერებას. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით ასევე შეფასებულია მშენებლობის პროექტიც, კერძოდ, საპროექტო ობიექტის ესკიზური ნახაზის შეფასების შედეგად, არქიტექტურის სამსახურმა მიიჩნია, რომ იგი არ მოდის შესაბამისობაში არსებულ არქიტექტურულ გარემოსთან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სმქ-ის 27-ე მუხლის თანახმად, დასახლებათა მიწათსარგებლობის დაგეგმვის არსია დასახლების ტერიტორიისათვის უძრავი ქონების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების პარამეტრების დადგენა. ამ პარამეტრების მიხედვით, გამოყოფილია გარკვეული ზონები, სადაც მშენებლობა საერთოდ დაუშვებელია, ხოლო თითოეული იმ ზონის ფარგლებში, სადაც ნორმატიულად მშენებლობა დაიშვება, შესაძლებელია არსებობდეს ტერიტორია, რომელიც თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მშენებლობისათვის ვერ იქნება გამოყენებული.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სმქ-ის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებისა და წესების, აგრეთვე მიწათსარგებლობის გეგმების მოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც თავისი მახასიათებლებით (ფართობი, კონფიგურაცია) არ შეესაბამება ზონის განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, იქნეს განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სტატუსს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ არქიტექტურის სამსახური ყველა შემთხვევაში ვალდებულია, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო ტერიტორიებისათვის დაადგინოს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ინდივიდუალური პარამეტრები. ამგვარი პარამეტრების დადგენის საშუალებას მიწის ნაკვეთი უნდა იძლეოდეს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ უფლებამოსილი ორგანო მოთხოვნის განხილვის ფარგლებში ამონებს კონკრეტულ ნაკვეთზე არა ზოგადად პარამეტრების დადგენის შესაძლებლობას, არამედ აფასებს მხარის მიერ განცხადებაში მითითებული სამშენებლო პირობების განსაზღვრის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არ იძლევა მშენებლობის საშუალებას, ადმინისტრაციული ორგანო უარს ეუბნება განმცხადებელს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე, შესაბამისად ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს

შესაბამის დასაბუთებას, ზუსტი მითითებით, ამ ნაკვეთზე საერთოდ მშენებლობა შეუძლებელი, თუ კონკრეტული სამშენებლო პროექტის განხორციელება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად მისი გაუქმების საფუძველია, რის გამოც ახალი გადაწყვეტილებით პალატამ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და არ დააკმაყოფილა სარჩელი.

7.3. პასუხისმგებლობა სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოებისა და დოკუმენტაციის სისწორისათვის, უსაფრთხოების რეგლამენტი

სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნებს, მათ შორის, სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებას, ხოლო მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს, შესაბამისი დოკუმენტის შემსრულებელსა და მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 33-ე მუხლი, 84-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 94'-ე მუხლის მე-4 პუნქტი
- პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განმარტება საქმეზე № ბს-493-488(2კ-16)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელეებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 04.06.2013წ. დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 12.08.2013წ. განკარგულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.12.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.09.2015წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები და მოპასუხეს დაევალა ახალი აქტის გამოცემა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოუკვლევია სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საზღვრები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მიხედვით, კერძოდ, არ დადგინა სამშენებლო მოედნის საზღვრები მოქცეულია თუ არა მის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ასევე არ გამოარკვია ჰქონდა თუ არა საქართველოს მთავრობის 24.03. 2009წ. №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ წესის“ 84-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას ადგილი – საზოგადოებრივი სივრცეების/ტერიტორიების გამოყენებას მინიმალური შეზღუდვების ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი ფოტოებით, ამასთან, არ გაითვალისწინა, რომ არ დგინდება აღნიშნული ფოტოების გადაღების პერიოდი – იყო თუ არა ფოტოები გადაღებული სამართალდარღვევამდე ან მისი ჩადენიდან გარ-

კვეული დროის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: პუტმკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემონების აქტი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 33-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია: ამ დადგენილების შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა, კანონმდებლობა, მათ შორის, აღნიშნული დადგენილება, სამშენებლო რეგლამენტი და ტერიტორიების სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების მოთხოვნები. ამავე დადგენილების 84-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნებს, მათ შორის, სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებას, ხოლო 94¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს, შესაბამისი დოკუმენტის ავტორს და მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქმეზე წარმოდგენილი ფოტოებით საერთოდ ვერ ირკვევა მშენებლობის ადგილას რა ჩამონგრეა (კედელი თუ ქვაბული), ან საერთოდ თუ მოხდა ჩამონგრევა და როგორ აისახა არსებულ გზაზე. ამასთან, მოსარჩელებს არაფერი უშლიდათ ხელს, საექსპერტო დასკვნა წარედგინათ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში, რაც სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.09.2015წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.4. პირველი კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობის წესი

პირველი კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე; შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 65-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-496-491(2კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ მოითხოვა ფანჯრის ღიობის კარის ღიობით შეცვლაზე, კიბის უჯრედისა და კიბეზე მოაჯირების მონ-

ყოფის თაობაზე ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 13.05.2014წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.10.2015წ. გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.04.2016წ. გადანყვეტილებით სადავო საკითხის გადაუნყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 13.05.2014წ. გადანყვეტილება. მოპასუხეს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადავო საკითხთან მიმართებით, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოიცა საქმის გარემოებების სათანადოდ შესწავლის გარეშე და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ეცნობებინა დაინტერესებული პირებისათვის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოები წარმოადგენს პირველი კლასის მშენებლობას. ასეთი მშენებლობა წარმოებს ნებართვის გარეშე და საჭიროებს მხოლოდ არქიტექტურის სამსახურის მხრიდან დადასტურებას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57-ე დადგენილების 65-ე მუხლის შესაბამისად, პირველი კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა. ამავე დადგენილების 66-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე. პირველი კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს. აღნიშნული დადგენილების 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო 5 დღის ვადაში წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობა/მონტაჟის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობას და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას.

საქმის მასალებით დადასტურდა, რომ მოცემულ შემთხვევაში მშენებლობა, რომელზეც არქიტექტურის სამსახურმა თანხმობა გასცა, არ ეხება მოსარჩელისა და მესამე პირების კანონიერ ინტერესებს, პროექტით კიბეს არ აქვს კავშირი მოსარჩელისა და მესამე პირების კუთვნილი ფართის ფანჯარასთან, ამდენად, მათი წარმოებაში ჩაუბმელობით საქმეზე განსხვავებული გადანყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.04.2016წ. გადანყვეტილება და საქმეზე მიიღო ახალი გადანყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.5. მშენებლობის დასრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის საპატიოდ მიჩნევა

იმ შენობა-ნაგებობებისთვის, რომელთა მშენებლობა დასრულებულია ვადის დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობისათვის, რომლის მშენებლობის დასრულება ვერ განხორციელდა დასრულებისათვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაში და დასრულდება დასრულების ნებართვის ფარგლებში „ლეგალიზების შესახებ“ წესის მე-9 მუხლი ძალაში შესვლიდან 4 თვის განმავლობაში, ვადის დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მათი ლეგალიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდება

- „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის № 660 ბრძანებულების მე-9 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-670-662(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.08.2014წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 24.03.2014წ. განკარგულება, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 22.01.2014წ. ბრძანება და დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.02.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა პალატამ არ გაითვალისწინა კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი, არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007 წლის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007წ. №660 ბრძანებულების მე-9 მუხლის თანახმად, 1-ლი მუხლის მე-2, მე-2¹ და მე-2² პუნქტებით გათვალისწინებული იმ შენობა-ნაგებობებისთვის, რომლების მშენებლობა დასრულებულია ვადის დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობისათვის, რომელთა მშენებლობის დასრულება ვერ განხორციელდა დასრულებისათვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაში და დასრულდება დასრულების ნებართვის ფარგლებში ამ მუხლის ძალაში შესვლიდან 4 თვის განმავლობაში, ვადის დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მათი ლეგალიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდება⁴².

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლეგალიზების შესახებ განცხადების წარდგენის

⁴² ლეგალიზების წესის თავდაპირველი ვარიანტი ხსენებულ რეგულაციას არ ითვალისწინებდა და მე-9 მუხლი საქართველოს პრეზიდენტის №660 ბრძანებულებას დაემატა 2013 წლის 17 სექტემბერს.

მომენტიისათვის პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართისა და მომდევნო სართულზე მდებარე №4 ბინის მინაშენები დასრულებული იყო და მხოლოდ მე-3 სართულზე მდებარე №6 ბინის მინაშენი იყო შეუმინავ მდგომარეობაში.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მე-3 სართულზე ფანჯრების ჩასმის საჭიროება ადასტურებდა არა სამშენებლო, არამედ უკვე განხორციელებული მშენებლობის დამთავრებელი სამუშაოს ჩატარების საჭიროებას. რაც შეეხება ობიექტის მე-2 და მე-3 სართულების აივნების შემოსაზღვრას კედლით, რომელიც არ იყო ასახული აზომვით ნახაზში, აღნიშნულთან დაკავშირებით დავა გადაწყდა სადავო სამართალურთიერთობების მიმართ ლეგალიზების შესახებ წესის მე-9 მუხლის გამოყენების შესაძლებლობის განხილვის გარეშე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა – იმის გათვალისწინებით, რომ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე განხორციელებული მიშენება არის ერთიანი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო დაესაბუთებინა მე-4 სართულზე უკვე ლეგალიზებული ფართებისა და არალეგალიზებული (1-3) სართულების არაიდენტიფიკაცია და შესაბამისად, განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, განსხვავებული მიდგომა საჭიროებს დიფერენციაციის მიზეზის დადგენას და შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ბათილად ცნო 24.03.2014წ. ქ.თბილისის მერიის განკარგულება და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 22.01.2014 წლის ბრძანება და არქიტექტურის სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

7.6. სამშენებლო სამართალდარღვევის განთავისუფლება პასუხისმგებლობისაგან

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ დაჯარიმების დადგენილების მიღებამდე სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება იწვევს დარღვევის განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან. დარღვევის გამოსწორება ანუ სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოების არსებობა იწვევს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტას

- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 და მე-11 ნაწილები, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განმარტება საქმეზე № ბს-785-771(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.04.2014წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა მოსარჩელის დაჯარიმების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.10.2014წ. განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სამართალ-

დარღვევის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ და არასწორად დატოვა დაკისრებული ჯარიმა უცვლელად. პალატამ, ასევე არ იმსჯელა მიშენების სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვის, საქართველოს მთავრობის მიერ მიშენების საპრივატიზაციოდ გადაცემის, მიშენების მოსარჩელის საკუთრებაში გადასვლის, ვითარების შეცვლის მნიშვნელობის, მისი უკუქცევითი, რეტროაქტიული ძალის შესახებ და არ დაასაბუთა, რატომ არ განეკუთვნება ხსენებული გარემოება სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოსარჩელე დაჯარიმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობისთვის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების მიზნით ჩატარებული საქმის წარმოებაა. თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოსწორდა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. დარღვევის გამოსწორება, ანუ სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოების არსებობა იწვევს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტას.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ არქიტექტურის სამსახურის მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. პუტმკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობისათვის დაწესებული ჯარიმის ოდენობა იცვლება იმის მიხედვით, თუ სად არის ნაწარმოები უნებართვო მშენებლობა – სახელმწიფო, თუ კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პერიოდში შენობა-ნაგებობა პრივატიზებული იყო, რის გამოც არ არსებობდა აღნიშნული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის გამოყენების საფუძველი. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გასაჩივრებული აქტები უცვლელად დარჩა ჯარიმის ოდენობის ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

8. სხვადასხვა კატეგორიის ადმინისტრაციული დავები

8.1. სახელმწიფო საშინაო ვალის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრა

საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, გადაწყვეტილებების მიმღებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების მომზადების საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტი;

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი არ უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით

- „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-582-575(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და სვმ-ის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ შემუშავების მოპასუხეებისათვის დავალება და საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიასა და ყოფილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მეპაიე წევრებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.07.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სვმ-ის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის არსა და მოქმედების ფარგლებზე, არ შეაფასა სისტემურად სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებთან ერთობლიობაში, არ გამოარკვია, თუ რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს (ორგანოების) ვალდებულებას წარმოადგენდა საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, რომელიც აღარ იყო უფლებამოსილი სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით გამოეცა ნორმატიული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 85-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სვმ-ის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად უთითებს დავალიანების დაფარვის წესის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სასარ-

ჩელო მოთხოვნა მოიცავს არა მარტო სახელმწიფო ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავებას, არამედ მის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, ცხადია, რომ ასეთი დავალების შეთანხმება ვერ დაეკისრება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავება და შემდგომ მისი შეთანხმება უნდა მოხდეს ერთობლიობაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათი ფუნქციების შესაბამისად.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, გადანყვეტილებების მიმღებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების მომზადების საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში მოპასუხეებად ჩაებნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გარდა საქართველოს მთავრობა, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, რომელსაც სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავების ვალდებულება აღარ გააჩნია. პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელი აღძრულია იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი არ უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა აღნიშნულზე, სასამართლო თავისი გადანყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია, რის გამოც საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

8.2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

სახელმწიფო შესყიდვების წესით განსახორციელებელი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში გამოიყენება საბანკო გარანტიის შესახებ სამოქალაქო კოდექსის სამართლებრივი ნორმები;

საბანკო გარანტია, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო იღებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის სახით, უნდა იყოს საიმედო და შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს მისი ანაზღაურება

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე, 882-ე და 886-ე მუხლები
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“⁴³ 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-505-500(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა სატენდერო კომისიის 10.01.2014წ. გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.12.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხე ვალდებული იყო დაესაბუთებინა უპირობო საბანკო გარანტიის სახელმწიფო ინტერესებთან შეუსაბამობა უშუალოდ ამ გარანტიის პირობების მოქმედი კანონმდებლობის ქრილში გაანალიზების გზით. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ. №9 ბრძანების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის 2014 წლის 10 იანვრისათვის მოქმედი რედაქცია და არასწორად გამოიყენა ამავე პუნქტის 2015 წლის 29 ოქტომბრის ცვლილებების შემდგომი რედაქცია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველ საქმეზე შესაფასებელი იყო კანონიერია თუ არა სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მიჩნევა სახელმწიფო ინტერესების შეუსაბამოდ იმ საფუძვლით, რომ კომპანია მანამდე გაცემული გარანტიის თანხის ანაზღაურებას აგვიანებდა და სისტემატურად არღვევდა ნაკისრ ვალდებულებას.

⁴³ ძალადაკარგულია 2017 წლის 19 ივლისიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 06/14/2017 №12 ბრძანებით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ. №9 ბრძანების მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენდა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება ჰქონდა, უარი განეცხადებინა ხელშეკრულების შესრულების ისეთ გარანტიაზე ან დაზღვევაზე, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს არ შეესაბამებოდა⁴⁴.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საბანკო გარანტია, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო იღებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის სახით, უნდა იყოს საიმედო და შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს მისი ანაზღაურება. სწორედ ამგვარი ტიპის გარანტიის მიღებაა ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესი.

სზაკ-ის 65¹-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სკ-ის სამართლებრივი ნორმები საბანკო გარანტიის შესახებ, კერძოდ, სკ-ის 879-ე, 882-ე, 886-ე მუხლები.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს მზრუნველობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნის გარანტიის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების პროცედურა უნდა დასრულდეს გონივრულ ვადაში. მოცემულ საქმეში კი მოსარჩელე თანხას ანაზღაურებდა ვადის მნიშვნელოვანი გადაცილებით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად არ განსაზღვრავს საბანკო გარანტიის სახეებს. სამოქალაქო კოდექსის დებულებების შესავსებად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე⁴⁵. საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის პუბლიკაციის საფუძველზე, უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში, სკ-ის 886-ე მუხლის დებულებები იზღუდება, ამასთან, მოთხოვნის მიღებიდან მისი შემოწმების და დაკმაყოფილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, თუ თავად გადახდის მოთხოვნაში სხვა ვადა არ არის მითითებული⁴⁶. მოცემულ შემთხვევაში, გარანტიის თანხის ანაზღაურება ამ ვადაში არ ხდებოდა, ხოლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა ანაზღაურდა მხოლოდ მოპასუხის მიერ სარჩელის აღძვრის შემდეგ.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება დაავალა იმავე სასამართლოს.

⁴⁴ ცვლილებების შემდგომ, აღნიშნული პუნქტის მოქმედი რედაქცია ადგენს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დასაბუთებული გადაწყვეტილებით არ მიიღოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი გარანტია, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ანალოგიური შინაარსით ჩამოყალიბდა ამჟამად მოქმედი 2017 წლის 14 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 34-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁴⁵ საერთაშორისო სავაჭრო პალატის №758 პუბლიკაცია „მოთხოვნამდე გარანტიებზე საერთაშორისო უნიფიცირებული წესები“.

⁴⁶ (ICC Uniform Rules for Demand Guarantees Publication N758, Art. 20).

8.3. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება; ნორმის უკუძალის მინიჭების პრინციპი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი გარკვეულ შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევს ნორმატიული აქტისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭებას და მის გავრცელებას ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგრამ ნორმის დროში მოქმედების არცერთი პრინციპი არ მიიჩნევს დასაშვებად ჯერ მიუღებელი, თუნდაც პროექტის დონეზე არსებული, ნორმის გავრცელებას მის მიღებამდე განსახილველ განცხადებაზე

- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტი;
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განმარტება საქმეზე № ბს-545-538(2კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს და მოითხოვეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.07.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.05.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაანგარიშების ძველი ფორმულა კანონმდებლობით განერილი არ ყოფილა, ფორმულისა და დაანგარიშების მეთოდის განსაზღვრა ხდებოდა კომისიის მიერვე დადგენილი პრაქტიკით, რაც განპირობებული იყო ნორმის ახალი წესისგან განსხვავებული განმარტებით. პალატამ მიიჩნია, რომ 2013 წლის 7 ივნისისთვის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უკვე სხვაგვარად განმარტავდა ეკმ-ის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამონურგადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების წესს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქმეში წარმოდგენილი არ იყო იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ 2013 წლის 7 ივნისისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უკვე სხვაგვარად განმარტავდა ეკმ-ის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტი ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების წესს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ნოაშ-ის 24-ე მუხლი გარკვეულ შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევს ნორმატიული აქტისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭებას და მის გავრცელებას ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგრამ ნორმის დროში მოქმედების არცერთი პრინციპი არ მიიჩნევს დასაშვებად ჯერ მიუღებელი, თუნდაც პროექტის დონეზე არსებული ნორმის გავრცელებას მის მიღებამდე განსახილველ განცხადებაზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა გამოეყენებინა

სადავო დამატების მიღებამდე არსებული წესი, მიუხედავად იმისა, ეს წესი ნორმატიულად იყო განსაზღვრული, თუ პრაქტიკით დადგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოთხოვნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის მოსარჩელის მიერ გადასახდელი ამონურვადი რესურსებით სარგებლობის საფასურის გამოთვლის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე.

8.4. დაცვითი საქმიანობისა და ობიექტზე მეთვალყურეობის მომსახურების განსხვავება

მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მომსახურების განწევზე. დაცვითი საქმიანობის მომსახურების განხორციელება გულისხმობს ლიცენზირებული საქმიანობის განწევას, ხოლო ობიექტებზე მეთვალყურეობის მომსახურება არ საჭიროებს ლიცენზირებას და არ უკავშირდება კერძო დაცვითი საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობას

- „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განმარტება საქმეზე №ბს-623-610(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ბრძანებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შსს ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.11.2013წ. გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და შსს-ს გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2014წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ კდსშ-ის მეორე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით განმარტა, რომ უძრავი ნივთის დაცვა, ისევე როგორც ადამიანის უსაფრთხოების დაცვა ორივე შემთხვევაში გულისხმობს დაცვითი საქმიანობის განხორციელებას, რაზედაც აუცილებელია შესაბამისი ლიცენზიის მოპოვება.

პალატამ აღნიშნა, რომ დაცვითი საქმიანობის მომსახურების განხორციელება გულისხმობს ლიცენზირებული საქმიანობის განწევას, რაც დადგენილია კდსშ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება ყოფილიყო კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

პალატის მოსაზრებით, ლიცენზიის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს როგორც იურიდულ, ასევე ფიზიკურ პირს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მომსახურების განევაზე. მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ერთი მხარე ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, რომელსაც არ აქვს მატერიალური შედეგი, ხოლო მეორე მხარე იხდის შესაბამის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კდსმ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კერძო დაცვითი საქმიანობა არის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული, ლიცენზირებადი საქმიანობა მიმართული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, უძრავი ან მოძრავი ნივთის, აგრეთვე ცალკეული ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვისაკენ და მოიცავს დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ამდენად, კერძო დაცვითი საქმიანობა ლიცენზირებადი საქმიანობაა⁴⁷.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ლიცენზირებას ექვემდებარება იმგვარი საქმიანობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს⁴⁸.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესყიდვის საგანი იყო განსაზღვრულ ობიექტებზე მეთვალყურეობის მომსახურება და არა კდსმ-ის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მცველის საქმიანობა.

შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საგანია მეთვალყურეობა შენობაზე, შესვლა-გამოსვლის მონესრიგება და ზედამხედველობა. ასეთი მომსახურეობა არ საჭიროებს ლიცენზირებას და არ უკავშირდება კერძო დაცვითი საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობას. კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება იდება დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას შორის, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება დაიდო ინდივიდუალურ მენარმესთან, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2.3 მუხლის შესაბამისად კი, ინდივიდუალური მენარმე ფიზიკური პირია.

საკასაციო პალატამ, ასევე აღნიშნა, რომ სატენდერო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს არ წარმოადგენდა დაცვის ლიცენზიის არსებობა, ხოლო ტენდერის პირობები, ტენდერში გამარჯვების შედეგად დადებული ხელშეკრულების ტექსტი არ ითვალისწინებდა დაცვითი საქმიანობისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა შეიარაღებული დაცვა, ვიდუოთვალი, ტექნიკის გამოყენება. ამასთანავე, ხელშეკრულებაში მითითებული ღონისძიებები არ იყო მიმართული დაცვის ობიექტის შესაძლო ხელყოფის საფრთხეების აღმოფხვრისაკენ. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ ეკისრებოდა ვალდებულება გაეცნობიერებინა, რომ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მისი მხრიდან ადგილი ექნებოდა კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებას ლიცენზიის გარეშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ბათილად ცნო დაჯარიმების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები.

⁴⁷ იხ. ასევე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 85-ე პუნქტი.

⁴⁸ იხ. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი; „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

8.5. უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა; „საპოლიციო გამოსახლების“ ინსტიტუტის გაუქმება

უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა დაიშვება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო შსს-ს ორგანოებს ამგვარი კომპეტენცია აღარ გააჩნიათ

- „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის № 747 ბრძანება⁴⁹
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი⁵⁰

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-83-82(კ-16)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 27.04.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი შსს-ს აჭარის ა/რ-ის მთავარი სამმართველოს და ქობულეთის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული აქტები; მოპასუხეს დაევალა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი მოსარჩელის უძრავი ქონების ხელყოფის, ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთისა და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მისთვის გადაცემის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.09.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი გულისხმობს უძრავ ნივთთან დაკავშირებით მხოლოდ ისეთი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობას, რომლის შედეგადაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს საკუთრების უფლებაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონში შეტანილი ცვლილებები და მოპასუხის კომპეტენცია „საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტთან“ დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერება და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის დავალდებულება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ 11.12.2015წ. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ე.წ. „საპოლიციო გამოსახლების“ ინსტიტუტი გაუქმდა, კერძოდ, ამოღებულ იქნა სკ-ის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი, აგრეთვე, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანებით დამტკიცებული „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი“.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებების შედეგად, უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა დაიშვება მხოლოდ სასამართლო გა-

⁴⁹ ძალადაკარგულია შს მინისტრის 2016 წლის 3 მარტის №75 ბრძანებით.

⁵⁰ ამოღებულია 2015 წლის 11 დეკემბრის №4625 საქართველოს კანონით.

დანყვეტილების საფუძველზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს⁵¹ ამგვარი კომპეტენცია აღარ გააჩნიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ.

8.6. საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლა

საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და წესები შესასრულებლად სავალდებულოა ფიზიკური/იურიდიული პირებისათვის (გადასახადის გადამხდელ-ბისათვის), მანამ სანამ ამ ნორმატიულ აქტს კანონიერი ძალა არ მიენიჭა

- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი
- „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-566-559(2კ-5) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.092014წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 21.02.2014წ. გადაწყვეტილება, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნები და ბრძანებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.06.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ვინაიდან, საერთაშორისო ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესის დაცვით არ იყო გამოქვეყნებული, მას არ ჰქონდა ნორმატიული ხასიათი, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა მის საფუძველზე მოსარჩელისათვის გადასახადების დარიცხვის შესაძლებლობას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს სარჩელის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, თუმცა სათანადოდ არ დაასაბუთეს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გამოცემას და მოსარჩელეზე იმპორტის გადასახადის დარიცხვას საფუძველად დაედო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბრის ქ. მინსკში ხელმოწერილი გადაწყვეტილება, რომლის შესასრულებლად სავალდებულო ძალა სადავოა მხარეთა შორის.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დავის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია შეფასდეს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს, ქვეყნის მიერ (ქართული მხარის მი-

⁵¹ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

ერ) საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარება და უშუალოდ ქვეყნის შიგნით ფიზიკური/იურიდიული პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლის/სავალდებულოდ აღიარების საკითხს არეგულირებს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო ამავე ხელშეკრულების ნორმატიულ აქტად და ქვეყნის შიგნით ფიზიკური/იურიდიული პირებისათვის სავალდებულოდ აღიარების საკითხს ზემოაღნიშნულ კანონთან ერთად არეგულირებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შესაბამისმა საერთაშორისო ხელშეკრულებამ (გადაწყვეტილებამ) საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულო ძალა მისი ხელმოწერის მომენტიდან შეიძინა. ამდენად, ქართული მხარე (სახელმწიფო) საერთაშორისო დონეზე ვალდებული გახდა შეესრულებინა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პირობები დაწესები შესასრულებლად სავალდებულო გახდა ფიზიკური/იურიდიული პირებისათვის (გადასახადის გადამხდელისათვის), მანამ სანამ ამ ნორმატიულ აქტს კანონიერი ძალა არ მიენიჭებოდა, ნორმატიული აქტის კანონიერ ძალას კი საერთაშორისო ხელშეკრულება იძენდა მხოლოდ შესაბამისი შიდა პროცედურის (თარგმნა და ქართულ ენაზე ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება) დაცვის შემდეგ.

სსსმ-ის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად ადგენს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნების ვალდებულებას საერთაშორისო ხელშეკრულებათა კრებულში. მითითებული მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების შესაბამისად, ცალსახად განისაზღვრა, რომ თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი ავთენტიკური ტექსტი შედგენილი არის ქართულ ენაზე, ხელშეკრულება ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო საქართველოს ხელშეკრულება, რომლის ავთენტიკური ტექსტი შედგენილი არის მხოლოდ უცხო ენაზე, ქვეყნდება ამ ენათაგან ერთ-ერთზე, ოფიციალური ქართული თარგმანის თანდართვით.

საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, სავალდებულო არის მისი გამოქვეყნებისა და რეესტრში რეგისტრაციისათვის დადგენილი შიდა პროცედურის დაცვა, რაც ასევე დასტურდება ნოაშ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნოაშ-ის სადავო პერიოდში მოქმედი სპეციალური ნორმის, კერძოდ, 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკანონმდებლო აქტი, რომელიც ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, ძალაში შედიოდა არა უადრეს მე-15 დღისა მისი გამოქვეყნებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადასახადის გადამხდელის პასუხისმგებლობის წარმოშობა ცალსახად უკავშირდება ნორმატიული აქტის გამოქვეყნებას. ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესით არ იყო გამოქვეყნებული, მას 2006-2007 წლებში გადასახადის გადამხდელისათვის შესასრულებლად სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნდა, რაც გამორიცხავდა მოსარჩელისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის (გადასახადების დარიცხვის) დაკისრების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი.

9. სამოქალაქო სასამართლოში ნორმების გამოყენება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე

9.1. მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები

მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით;

მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა, ამდენად, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მონყდეს რეალობას

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 413-ე, 997-ე და 1005-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-239-237(2კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.03.2015წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 1 300 ლარის გადახდა და მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით. მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის სარჩოს სახით ყოველთვიურად (სიცოცხლის ბოლომდე) 850 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.12.2015წ. გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.03.2015წ. გადაწყვეტილება გაუქმდა მორალური ზიანის დაკისრებისა და ყოველთვიური სარჩოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე.

პალატამ მიუთითა სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელიც სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში ადგენს დაზარალებულის უფლებას, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის ხარისხისა და საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ არაქონებრივი ზიანის გონივრული და სამართლიანი ოდენობა იყო 10 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩოს დანიშვნის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება არა სოციალური სფეროს მარეგულირებელ ნორმებს, არამედ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ კანონმდებლობას, კერძოდ,

სკ-ის 408-ე მუხლის შესაბამისად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ნაერთვა შრომის უნარი ან შეუძლია იგი, ან/და იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს სზაკ-ის 207-ე-209-ე მუხლები. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის გამომწვევი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, სზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. სკ-ის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 997-ე და 1005-ე მუხლები, რამდენადაც ზიანის მიმყენებელი პირია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელიც სკ-ის 408-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ვინაიდან მოსარჩელის დასახიჩრებამდე მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არაქონებრივი ანუ მორალური ზიანი თავისი არსით არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად კი, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის გამო. სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორც დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მი-

სი სრულად აღდგენა.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დააკისრა მოპასუხეს მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.

9.2. გირავნობის უფლება სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე

სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მას შემდეგ, რაც დამგირავებელს წარმოეშობა მასზე საკუთრების უფლება. გირავნობის უფლება სამომავლო ქონებაზე წარმოშობილად ითვლება რეგისტრაციის მომენტიდან;

სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია შესაძლებელია მესაკუთრის ნებართვის გარეშე

- „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი
- სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 254.5 და 258.1 მუხლები
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 06 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-297-295(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოსა და მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა და ავტომატურად ქონების გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 31.03.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები, მოპასუხეს დაევალა სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება მოსარჩელის კუთვნილ ავტომატურად ქონებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ტვირთი, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დაკისრებული აქვს მოსარჩელეს, თანაც ისე, რომ მას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია მესამე პირთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფორმირებაში, მას არცერთი მხარის წინაშე არ ჰქონია რაიმე სახის ვალდებულების შესრულების ტვირთი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური აქტები არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის, სკ-ის 170-ე მუხლის დებულებებს, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლობის სრული დაცვით და რეგისტრირებული იყო სამომავლოდ შესაძენ ნივთზე გირავნობის უფლება, შესაბამისად, ნივთი უფლებრივად უნაკლო იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოთხოვნის უზრუნველყოფის საკმაოდ გავრცელებულ საშუალებებს მიეკუთვნება სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები, ერთ-ერთი მათგანია გირავნობა, რომელიც საკუთრების უფლებისაგან ნაწარმოებ უფლებად განიხილება და პირს გირავნობის უფლებით ქონების დატვირთვის შესაძლებლობა მას შემდეგ წარმოეშობა, როდესაც მოიპოვებს საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე. ძირითად ვალდებულებაში მოვალეს ან მესამე პირს გირავნობის უფლების წარმოშობის ეტაპზე უნდა გააჩნდეს საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზრუნველყოფის საგანია სამომავლო ქონება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გირავნობის უფლებით შესაძლებელია დაიტვირთოს სამომავლო მოთხოვნებიც, კერძოდ, სკ-ის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლებსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში (სამომავლო ქონება). სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მისი შექმნისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, სამომავლო ქონების გირავნობის ობიექტად გამოყენების შემთხვევაში, გირავნობის უფლება წინ უსწრებს უზრუნველყოფის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობას, რაც შესაძლებელია მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის დროს. სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მას შემდეგ, რაც დამგირავებელს წარმოეშობა მასზე საკუთრების უფლება. სამომავლო ქონებაზე უფლების წარმოშობა დაკავშირებულია გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტზე. შესაბამისად, გირავნობის უფლება სამომავლო ქონებაზე წარმოშობილად ითვლება რეგისტრაციის მომენტიდან.

სკ-ის 258.1 მუხლის შესაბამისად, რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (გარდა ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა). აღნიშნულ შემთხვევაში მოძრავი ნივთის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემა სავალდებულო არ არის, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილით კი რეგლამენტირებულია სატრანსპორტო საშუალებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების გირავნობის რეგისტრაციის წესი, კერძოდ, სმომ-ის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია შსს მომსახურების სააგენტოში.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციას მესაკუთრის ნებართვის გარეშე. ასევე, შესაძლებელია იმ ქონების დაგირავება, რომელსაც დამგირავებელი მომავალში შეიძენს, ხოლო ეს ქონება მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება დადებულია და რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილო წესით, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გადაიქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამგირავებელი გახდება მისი მესაკუთრე; მანამდე, მიუხედავად სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულების არსებობისა, მასზე სამართლებრივად უზრუნველყოფის ღონისძიება არ ამოქმედდება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მო-

სარჩელეს, როგორც მესაკუთრეს არ ელახება საკუთრების უფლება და მის საკუთრებაში რეგისტრირებული ავტომობილი არის ნივთობრივად უნაკლო, ამდენად, სადავო აქტები არ ეწინააღმდეგება საქ. კონ-ის 21-ე მუხლის, სკ-ის 170-ე მუხლის დებულებებს.

საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი სადავო ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

9.3. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი; დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძველი

დევნილის სტატუსი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. თუ პირი იმთავითვე არ იყო დევნილის სტატუსის მატარებელი სუბიექტი, მისი მშობლების ან სხვა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სტატუსი მასზე მემკვიდრეობით არ გადადის. დევნილის მემკვიდრეებზე გადადის მხოლოდ შესაბამისი ქონებრივი უფლებები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლი
- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ 2014 წლის 6 თებერვლის საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-247-245 (კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.04.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 08.12.2014წ. ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.2015წ. გადაწყვეტილებით სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება და მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს იგპდ-ის მე-2, მე-3, მე-6 და მე-8 მუხლებს, აგრეთვე, არსებითად ეწინააღმდეგება სზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლების დებულებებს, რაც სადავო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სკ-ის მე-20 მუხლით, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გამომწყვტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელ-

საც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამოსაყენებელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ცნება მოცემულია სპეციალურ კანონში, კერძოდ, იგპდ-ის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. ამდენად, დევნილის სტატუსის მინიჭება დაკავშირებულია არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების, საცხოვრებელი ადგილის ქონასთან, არამედ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის პირის მიერ იძულებით დატოვებასთან.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგპდ-ის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ კანონის მიზნებისათვის განმარტებულია შემდეგნაირად: „დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო“.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება დევნილი მშობლების სრულწლოვან შვილებზე, რომლებსაც საომარ მოქმედებებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდათ, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ამ უკანასკნელს აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტამდე და კონფლიქტის პერიოდში გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც იძულებით დატოვა საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ან უშუალოდ დაწყებამდე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტში მითითებული მიზეზებით.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ დევნილის სტატუსი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. თუ პირი იმთავითვე არ იყო დევნილის სტატუსის მატარებელი სუბიექტი (ამგვარი სტატუსის შესაბამისი წესით მინიჭების მიუხედავად), მისი მშობლების ან სხვა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სტატუსი მასზე მემკვიდრეობით არ გადადის. ამავე კანონის მე-15 მუხლი ნათლად ადგენს, რომ დევნილის მემკვიდრეებზე გადადის მხოლოდ შესაბამისი ქონებრივი უფლებები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე არასწორად განმარტა იგპდ-ის ნორმები, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

9.4. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი

ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და არა გაუმჯობესება; ოჯახის კეთილსაიმედოობა, სათანადო მატერიალური მდგომარეობა არა მინდობით აღზრდაზე უარის თქმის, არამედ პირიქით მინდობით აღზრდისათვის ბავშვის გადაცემის პირობაა;

მინდობით აღსაზრდელის მიერ მშობლების გარდაცვალების მიზეზით დანიშნული მარჩენალდაკარგულის პენსიის მიღება არ გამორიცხავს მინდობით აღზრდაში გადაცემისათვის ანაზღაურების მიღებას

- „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ 2009 წლის 18 დეკემბრის საქართველოს კანონის⁵² მე-8 მუხლის პირველი პუნქტი⁵³ და 33.1. მუხლის „ე“ ქვეპუნქტი⁵⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განმარტება საქმეზე № ბს-678-670 (2კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.03.2014წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს 28.11.2014წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.07.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.03.2015წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს 21.11.2014წ. და სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების 28.11.2014წ. გადაწყვეტილებები, სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონულ განყოფილებას დაევალა მოსარჩელესთან მინდობით აღზრდის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 26.02.2010წ. №516 ბრძანების მე-13.3 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მინდობით აღზრდის ანაზღაურების გასაცემი თანხა განისაზღვრება რეგიონული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღისათვის არსებული მდგომარეობით და დაფინანსება გრძელდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, მიუხედავად მინდობით აღზრდის პირობების შეცვლისა, გარდა შშმ სტატუსის დადგენის ან დაკარგვის შემ-

⁵² ძალადაკარგულია „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ 2017 წლის 4 მაისის №746 საქართველოს კანონით.

⁵³ ამჟამად ეს ურთიერთობები რეგულირდება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ 2017 წლის 4 მაისის საქართველოს კანონის მე-70 მუხლით.

⁵⁴ ამჟამად ეს ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბრის №01-72/6 ბრძანების მე-12 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით.

თხვევებისა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მინდობით აღზრდის ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან მოპასუხისათვის ხელშეკრულების დადების დავალდებულება ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ნორმების მოთხოვნებს, რაც ამ ნაწილში სარჩელის უარყოფის საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხელშეკრულების ვადის ამონურვა არ გამო-რიცხავს მის ხელახალ დადებას, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს არა ხელ-შეკრულების ვადის გასვლას, არამედ მინდობით აღზრდის პროგრამის შეწყვეტის, მინ-დობით აღზრდაში არასრულწლოვანის გადაცემის გაგრძელების საფუძველების არსე-ობას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამარ-თლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი შამაშ-ის მე-8 მუხლის პირველი პუნ-ქტის რედაქცია ითვალისწინებდა 18 წლამდე ასაკის პირის, რომელიც არის ობოლი, მინ-დობით აღზრდაში გადაცემას⁵⁵. იმავე კანონის 33.1. მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახ-მად⁵⁶, მინდობით აღსაზრდელის სრულწლოვანების მიღწევისას მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება წყდება, ამდენად მინდობით აღზრდელსა და ბავშვს შორის ურთიერთობა არის დროებითი – ბავშვის სრულწლოვანებამდე. მინდობით აღზრდე-ლი (დედობილი/მამობილი) მზრუნველისაგან, შვილად ამყვანისაგან განსხვავებით, ბავ-შვთან არ ამყარებს მემკვიდრეობით ურთიერთობებს.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ მინდობით აღზრდისათვის გადაცემის პი-რობა – მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესაძლებლობა განახორციელოს ბავშვის მინდობით აღზრდა, საამისოდ საჭირო მიმღები ოჯახის სათანადო მატერიალური მდგო-მარეობა, შესაბამისად, ოჯახის კეთილსაიმედობა არ შეიძლება შემდგომში იქცეს მინ-დობით აღზრდის შეწყვეტის საფუძველად. ოჯახის კეთილსაიმედობა, სათანადო მატე-რიალური მდგომარეობა წარმოადგენს არა მინდობით აღზრდაზე უარის თქმის, არა-მედ პირიქით მინდობით აღზრდისათვის ბავშვის გადაცემის პირობას. არც კანონმდებ-ლობა შეიცავს ფულადი ანაზღაურების გაცემის შეზღუდვის შესახებ დანაწესს ოჯახის კარგი მატერიალური მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში. ბავშვის ინტერესები-დან გამომდინარე სწორედ, რომ უზრუნველყოფილ, კეთილსაიმედო ოჯახს უნდა გა-დაეცეს ბავშვი მინდობით აღზრდაზე, რათა სახელმწიფო პროგრამიდან გამოყოფილი თანხა მოხმარდეს არა ოჯახის რჩენას, არამედ უშუალოდ მინდობით აღსაზრდელსა და მის ინტერესებს.

შამაშ-ის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ბავშვის მინდობით აღზრდის შესა-ხებ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზთა შორის ითვალისწინებს ოჯახის მატერიალუ-რი მდგომარეობის გაუარესებას და არა გაუმჯობესებას. ასეთი მიდგომა ესადაგება ბავ-შვის უფლებათა კონვენციის დანაწესს ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვისათვის სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობისა და დახმარების შესახებ⁵⁷.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ შამაშ-ის 33-ე მუხლი ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს, არ დაიშვება მისი თვითნებური განვრცობა, თუნდაც მორალური მოსაზრებებით. მინდო-

⁵⁵ ამჟამად მოქმედებს 2017 წლის 4 მაისის შამაშ-ის 70-ე მუხლი.

⁵⁶ ამჟამად ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების დადება წესრიგდება შამაშ-ის 74-ე მუხლით, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბრის №01-72/6 ბრძანების მე-12 მუხლით.

⁵⁷ იხ. ბავშვა უფლებათა კონვენციის მე-20 და 27-ე მუხლები.

ბით აღზრდის შეწყვეტის საფუძველს არ ქმნიდა აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია მინდობით აღზრდის ნაცვლად ბავშვზე მეურვეობის ან მზრუნველობის დანესება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დავის საგანი ეხება მინდობით აღზრდას და არა მზრუნველობის დანესებას, შესაბამისად, სასამართლო წყვეტს არა მიზანშეწონილობის, არამედ კანონიერების საკითხს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ბავშვის რჩენას, რასაც მინდობით აღზრდა ითვალისწინებს.

პალატამ აღნიშნა, რომ მინდობით აღსაზრდელის მიერ მშობლების გარდაცვალების მიზეზით დანიშნული მარჩენალდაკარგულის პენსიის მიღება, არ გამორიცხავდა მინდობით აღზრდაში გადაცემისათვის ანაზღაურების მიღებასაც⁵⁸. დანიშნული პენსია თავად მარჩენალდაკარგულს ეკუთვნის, ხოლო მინდობით აღზრდაზე სახელმწიფო პროგრამით დაფინანსება მინდობით აღზრდაში ბავშვის მიმღებ ოჯახს და მიზნად ისახავს ოჯახის მიერ განეული დანახარჯების კომპენსირებას, მინდობით აღზრდაში მიუსაფარი, ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის მიღების ნახალისებას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხარის მოთხოვნა ხელშეკრულების აღდგენის შესახებ ფაქტობრივად გულისხმობდა ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის დღიდან ზიანის ანაზღაურებას, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილის მიმართ სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა საქმეში მესამე პირად მინდობით აღსაზრდელის მამობილის ჩაბმაზე, რომელიც შამაშ-ის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დედობილთან ერთად არის მიმღები ოჯახის წევრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

9.5. დელიქტით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს; ცალკეულ, საგამონაკლისო შემთხვევაში არ არის გამორიცხული მორალური და მატერიალური ზიანის განსხვავებულ მომენტებში დადგომის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული არ უარყოფს მორალური ზიანის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის მოქმედებას;

ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლები
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1008-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-710-702(2კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის – 500 000 ლარისა და ადვოკატის ხარჯის – 2 000 ლარის ანაზღაურება.

⁵⁸ იხ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.12.2014წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხანდაზმულობისა და მიზეზობრივი კავშირის დაუდგენლობის მოტივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 20 000 ლარისა და ადვოკატის ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 997-ე, 1005-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ფაქტი შესაძლოა არ უკავშირდებოდეს უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სზაკ-ის 208.1 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 34-ე მუხლის საფუძველზე მუშაკისათვის ტრავმით და პროფესიული დაავადების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება სკ-ით დადგენილი წესით. აღნიშნული წესი მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებდა რაიმე სპეციალურ რეგულირებას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლოა იყოს ქონებრივი (მატერიალური) და არაქონებრივი (მორალური). სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა მიიჩნევა მატერიალურ ზიანად, ხოლო პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც დაკავშირებულია პირის სულიერ ტანჯვასთან – არამატერიალური ზიანია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში. მოცემულ საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელემ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძველს, თუმცა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს. ცალკეულ, საგამონაკლისო შემთხვევაში არ არის გამორიცხული მორალური და მატერიალური ზიანის სხვადასხვა დროს დადგომის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული არ უარყოფს მორალური ზიანის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის

მოქმედებას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულია 02.04.2014წ., შესაბამისად, არ დასტურდება მოსარჩელის მიერ არათუ სკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, არამედ სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის დაცვა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის, ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ აბრკოლებს სასამართლოსადმი ან სხვა ორგანოსადმი მიმართვის უფლებას. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ საქმე დააბრუნა იმავე სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის.

ადმინისტრაციული სასამართლის საპროცესო ნორმათა დარღვევები

1. სასამართლო მტკიცებულებები

1.1. მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები; ექსპერტიზის დასკვნის სავალდებულობა მტკიცებულებათა შეფასებისას; სადავო აქტის გადაუწვეტლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება;

ექსპერტის დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტის დასკვნას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ადმინისტრაციული ორგანო მას აფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21.2, 23-ე და 25-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე № ბს-178-177(კ-16)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საგრანტო პროექტის დაფინანსებაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის უარის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ფაქტობრივი გარემოებების სათანადოდ შესწავლის შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.11.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2015წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სასკის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი და მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო მო-

ცემულ საქმეზე ჩაეტარებინა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და უნდა გამოეკვლია საკითხი, რამდენად პასუხობდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი საკონკურსო მასალა კონკურსის მოთხოვნებს და ჰქონდათ თუ არა შესაბამისი კვალიფიკაცია ექსპერტებს, რომლებიც ადგენდნენ დასკვნას კონკურსანტების მუშაობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, თუმცა არ მიუთითა რომელი გარემოებები კონკრეტულად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს დასკვნა – სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების საჭიროების შესახებ, არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საქესპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საქესპერტო დასკვნისთვის. ამავ ე კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსთვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტის დასკვნას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ადმინისტრაციული ორგანო მას აფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის ფარგლებში მოსარჩელის კანონიერ ინტერესს წარმოადგენდა დოქტორანტურის საგრანტო პროექტის დაფინანსება, მაშინ როცა კონკურსში გამარჯვებულთა ნაწილში ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, მოსარჩელე სადავოდ არ ხდოდა საკითხს, რომ კონკურსით გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა სწორად გადანაწილდა გამარჯვებულ კონკურსანტებს შორის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სადავო აქტი მიიღო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, სადავო აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს, არსებითად არ იყო დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადანყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

1.2. ექსპერტიზის დასკვნის შეფასება სასამართლოს მიერ

ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის, მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით; სასამართლოს მიერ საექსპერტო დასკვნის უარყოფა დასაბუთებული უნდა იყოს

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 172-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განმარტება საქმეზე №592-579(კ-14)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მოპასუხეების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დაფარება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.10.2016 წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2016 წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.10.2016 წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება, რომლითაც ქობულეთში მდებარე 25კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირიცხა მოპასუხეთა სახელზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის სახელზე სადავო უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციით დასტურდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ხელყოფის ფაქტი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 1513-ე მუხლის შესაბამისად, სადავო მიწის ნაკვეთი იყო მოსარჩელის საკუთრება, რომლის მოპასუხეთა საკუთრებაში აღრიცხვით ხელყოფილ იქნა მოსარჩელის საკუთრების უფლება, რასაც ადასტურებდა ექსპერტიზის დასკვნაც.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დასკვნით არ ირკვეოდა სადავო 9.2 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო. სააპელაციო პალატის მიერ ექსპერტიზის დასკვნა არ იქნა შეფასებული სსკ-ის 105-ე, 172-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, სასამართლომ არ მოიწვია ექსპერტი დასკვნის განსამარტავად. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ დაადგინა იყო თუ არა შემცირებული მოსარჩელის მიწის ნაკვეთის პარამეტრები, არ დაადგინა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გადაფარვის არსებობა, გადაფარვის ზონის ოდენობა, შესაბამისად, არ დაადგინა, ქმნიდა თუ არა გადაფარვის ზონა 9 კვ.მ-ით მოსარჩელის კუთვნილი ნაკვეთის შემცირებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავდა სათანადო არგუმენტაციას ექსპერტიზის დასკვნის უარყოფასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით. სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, სააპელაციო პალატამ სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ყველა გარემოება და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის საფუძველზე.

2. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

2.1. კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების განსჯადობა

საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯნვისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს;

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განმარტება საქმეზე №628-621(კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისათვის შეუსრულებელი მომსახურების საფასურის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.11.2013წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.07.2015წ. გადაწყვეტილებით მოპასუხეს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა შეუსრულებელი მომსახურების საფასურის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა მტკიცებულება (ვიდეო ფაილები ან მონიტორინგის დასკვნა), რაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა სიუჟეტების დათქმულ ტელეარხებზე, განსაზღვრულ დროს გასვლის ფაქტს. პალატის მოსაზრებით, ამ გარემოებას არ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოში მოპასუხის მიერ საგადასახადო დავალების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მონესრიგებული; მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა

და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, შესაბამისად, სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები⁵⁹. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით⁶⁰.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული სარჩელის ფარგლებში, სადავოა განეული მომსახურების საფასურისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს გადახდა, ვალდებულების შესრულებისა და ვალდებულების უზრუნველყოფის მომწესრიგებელი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასკ-ის 25¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არცერთ მხარეს არ აღჭურავდა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით და მათ შორის დადებული ხელშეკრულება იყო წარდობის/მომსახურების ხელშეკრულება. შესაბამისად, დავა უნდა განეხილა სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

⁵⁹ იხ. სზაკ-ის 65¹-ე მუხლი.

⁶⁰ იხ. სასკ-ის 25¹-ე და სზაკ-ის 65.2 მუხლები.

2.2. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები

სასამართლო უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-67-66(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.07.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 19.10.2014წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა შესაბამისი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.11.2015წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.07.2015წ. გადაწყვეტილება და სარჩელი სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან, ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადო მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში სადავოა ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მხრიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დეკანის კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ასეთი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობა, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა.

3. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შეზღუდვის შეზღუდვა

3.1. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება, ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა შეზღუდულია ხანდაზმულობის ვადებით;

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელება და აღდგება დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილი
- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.6 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-175-172(კ-15)
(<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 05.03.2004წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხე – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ, ბათილად (არაკანონიერად) იქნა ცნობილი საქართველოს გენერალური პროკურორის კადრების სამმართველოს 13.01.2004წ. წერილი. საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალა მოსარჩელისათვის 1998 წლის 9 ივლისიდან 2002 წლის 26 მარტამდე პერიოდის შრომითი (სამსახურის) სტაჟში ჩათვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.12.2014წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 05.03.2004წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, რომ არ უმსჯელია მის დასაშვებობაზე, კერძოდ, დაცული იყო თუ არა, სსკ-ის 369-ე მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან აითვლება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანიდან 10 წლის შემდეგ გასაჩივრდა. ასეთ

პირობებში გასარკვევია, რამდენად დასაშვებია სააპელაციო საჩივარი, თუ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაეგზავნა ან ჩაჰბარდა. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 1998-2002 წლებში მოქმედი რედაქციით უნდა იხელმძღვანელოს, რომელიც პროკურატურის მუშაკის კადრების განკარგულებაში გადაყვანას არ ითვალისწინებდა.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ სკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. პრაქტიკაში აღნიშნული ნორმა ნიშნავს, რომ პირს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია გადაწყვეტილება, შეუძლია მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის, იძულებით აღსრულების მოთხოვნით და ა.შ. ასეთ პირობებში გასარკვევია, რამდენად დასაშვებია სააპელაციო საჩივარი, თუ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაეგზავნა ან ჩაჰბარდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

3.2. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველი

სააპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე შესრულებული წარმოების გაგრძელება ან პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე ისეთი პროცესუალური დარღვევებით განიხილა, რისი გამოსწორებაც სააპელაციო ინსტანციაში შეუძლებელია

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე, 385.2 და 394-ე მუხლები
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განმარტება საქმეზე №95-94(2კ-16)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ თელავის რაიონულ სასამართლოში თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, რომლითაც მოითხოვა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 29.04.2014წ. ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თელავის რაიონული სასამართლოს 13.10.2014წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილ-

ში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.10.2015წ. განჩინებით გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 13.10.2014წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა კანონიერ ძალაში შესული ორი სასამართლო გადაწყვეტილება და არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, მაშინ რაიონულ სასამართლოს მესამედ აღარ უნდა მიეღო გადაწყვეტილება სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, არამედ უნდა მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სასკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუკი ადგილი აქვს სასკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე ისეთი პროცესუალური დარღვევებით განიხილა, რისი გამოსწორებაც სააპელაციო ინსტანციაში შეუძლებელია ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით მართლაც მიზანშეწონილია საქმის დაბრუნება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასკ-ის 385-ე მუხლი არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნოს ყოველთვის, როდესაც აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასკ-ის 380-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დიდი ნაწილი დადგენილად მიიჩნია, ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ ზღუდავს სააპელაციო სასამართლოს გამოიკვლიოს მტკიცებულებები, ისარგებლოს სასკ-ის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივად შეაფასოს და შესაბამისი სუბსუმფციის გზით⁶¹ მიიღოს გადაწყვეტილება სადავო საკითხზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

⁶¹ სუბსუმფცია – იმის გამორკვევა, შეესაბამება თუ არა ფაქტობრივი გარემოებები ნორმის შემადგენლობის ელემენტებს; სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა (იხ. სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ადმინისტრაციული სამართალი“ 2013 წლის №1, გვ.21); სუბსუმფციის განხორციელების უპირველესი პირობა სწორედ ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი დადგენა (სუსგ №ბს-683-679(კ-17)08.02.2018).

3.3. გადანყვეტილების არასრული დასაბუთება, როგორც გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი

გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-348-344(კ-16) (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.08.2015წ. გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.02.2016წ. განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით, საქმეზე წარმოდგენილი მოსარჩელის სახელზე გაცემული საშუალო განათლების ატესტატი, რომელშიც მისი დაბადების თარიღად 1975 წელია მითითებული, არასარწმუნოა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დოკუმენტებზე დაფიქსირებულია მოსარჩელის დედის (პედაგოგის) ხელმოწერა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველ შემთხვევაში, სადავოა მოსარჩელის სახელზე არსებული 2 განსხვავებული დაბადების სააქტო ჩანაწერიდან ერთ-ერთის მართლზომიერების საკითხი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ ატესტატზე ხელი მოსარჩელის დედამაც მოაწერა, არ ადასტურებს ატესტატში ასახული მონაცემების უზუსტობას, რადგან დოკუმენტს, ასევე ხელი მოაწერა სკოლის დირექტორმა, მოადგილემ სასწავლო დარგში და სამმა პედაგოგმა. ატესტატი დამოწმებულია შესაბამისი ბეჭდით და მას მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ უნდა გამოეკვლია, რომელ წელს, რა ასაკში შევიდა მოსარჩელე სკოლაში. თუ შესაძლებელია, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს მოსწავლის პირადი საქმე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, საქმეში წარმოდგენილი საბუთის გარდა, ხომ არ არსებობს მოსარჩელის სახელზე გაცემული სხვა დოკუმენტებიც, მაგალითად, უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, მართვის მოწმობა ან სხვა მსგავსი და რა მონაცემებია მოსარჩელის შესახებ მათში ასახული, რაც სასამართლოს გაუადვილებდა მოსარჩელის დაბადების თარიღის თაობაზე სწორი ინფორმაციის შეგროვებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

4. პროცესის ხარჯები

პროცესის ხარჯების განაწილების წესი

პროცესის ხარჯების განაწილების წესის თანახმად, პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, ხოლო საქმეში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 102-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-397-391(2კ-4კს-15)
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.12.2014წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის 15.09.2014წ. ბრძანება, მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის დაუყოვნებლივ სამსახურში აღდგენის თაობაზე, ასევე მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, არა უმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2015წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაეკისრა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; არ დაკმაყოფილდა სააპელაციო მოთხოვნა მონინაალმდეგე მხარის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ამ ხარჯის განევა არ დასტურდება, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ისეთ პირობებში, როდესაც არ დასტურდება კონკრეტული ხარჯის განევა, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 53-ე მუხლი ითვალისწინებს პროცესის ხარჯების განაწილების წესს, რადგანაც ადვოკატის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების პრინციპი ამავე მუხლის პირველი ნაწილითაა განსაზღვრული.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დასკვნა გამომდინარეობს სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შეიძლება დადგეს, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე⁶². ასეთ დროს სასა-

⁶² სსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები.

მართლო შესაბამისი განჩინებით გადაწყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ამავე კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, რის გამოც საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოთხოვნა ადვოკატის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

დასკვნა-რეკომენდაცია

2016 წელს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესწავლამ ცხადჰყო, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვისას ადგილი ჰქონდა როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური სამართლის ნორმების არასწორ გამოყენებასა და განმარტებას.

კერძოდ, სასამართლოები არ იყენებენ კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინათ, ან არასწორად განმარტავენ კანონს, ამავე დროს სწორ შეფასებას არ აძლევენ საქმის მასალებს. სასამართლოები არასრულყოფილად მსჯელობენ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, კომპლექსურად არ აფასებენ საქმის ყველა გარემოებებს და შესაბამისად, იღებენ იურიდიულად არასაკმარისად დასაბუთებულ ან დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების ძირითადი შეცდომები გამოიხატება შემდეგში:

1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე, 30-ე მუხლები, ასევე, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;
2. სააპელაციო პალატის განჩინება არ შეიცავდა მოსარჩელისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით და 22¹-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღებისათვის საჭირო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის დასაბუთებას;
3. არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა იმ საკითხთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა მსჯავრის დადების გამო პენსიის შეწყვეტის, აქტში ცვლილების შეტანის საფუძველი, იყო თუ არა შესაძლებელი ახალი წესის თანახმად გადაანგარიშება. სასამართლომ, ასევე არ იმსჯელა სახელმწიფო კომპენსაციის გამოანგარიშებული თანხის ოდენობის სისწორეზე;
4. საქმეში არც მოპასუხედ და არც მესამე პირად არ იქნა ჩაბმული სოციალური მომსახურების დიდუბე-ჩუღურეთის ცენტრი, რომლის გადაწყვეტილებითაც განისაზღვრა სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის შემდეგ ახლად დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა;
5. სააპელაციო პალატამ სადავო ფართის მესაკუთრის დადგენის გარეშე დაასკვნა, რომ მესამე პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გამომრიცხავი გარემოება არ არსებობდა;
6. სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები;

7. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას სადავო აქტების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობას მაშინ, როდესაც არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არ მიუთითებია თუ რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის დადგენა შეუძლებელია სასამართლოში;
8. ორივე ინსტანციის სასამართლო შემოიფარგლა პირველად რეგისტრაციებზე მსჯელობით, არ იმსჯელეს შემდეგი რეგისტრაციების და მათი საფუძვლების კანონიერებაზე;
9. პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა დასაბუთების გარეშე უარი თქვეს სადავო ნაკვეთის მიმართ განხორციელებული რეგისტრაციების და მათი საფუძვლების გაუქმების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;
10. არც სააპელაციო და არც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ რეგისტრაციის მომენტში უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი და არა კომერციული ბანკი;
11. სააპელაციო სასამართლომ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია;
12. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურმა გაიმეორა ბათილად ცნობილი გადაწყვეტილების მოკლე დასაბუთება და საკითხი ფორმალურად გადაწყვიტა;
13. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სივრცითი მონყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით ასევე შეფასებულია მშენებლობის პროექტიც, კერძოდ, საპროექტო ობიექტის ესკიზური ნახაზის შეფასების შედეგად, არქიტექტურის სამსახურმა მიიჩნია, რომ იგი არ მოდის შესაბამისობაში არსებულ არქიტექტურულ გარემოსთან;
14. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი ფოტოებით, ამასთან, არ გამოარკვია, იყო თუ არა ფოტოები გადაღებული სამართალდარღვევამდე, ან მისი ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ;
15. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი, არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007 წლის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლი;
16. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, არასწორად დატოვა დაკისრებული ჯარიმა უცვლელად; არ იმსჯელა მიშენების სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვის, საქართველოს მთავრობის მიერ მიშენების საპრივატიზაციოდ გადაცემის, მიშენების მოსარჩელის საკუთრებაში გადასვლის, ვითარების შეცვლის მნიშვნელობის, მისი უკუქცევითი, რეტროაქტიული ძალის შესახებ და არ დაასაბუთა, რატომ არ განეკუთვნება ხსენებული გარემოება სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას;

17. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის არსსა და მოქმედების ფარგლებზე, არ შეუფასებია სისტემურად სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებთან ერთობლიობაში, არ გამოარკვია, თუ რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენდა საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება;
18. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ. №9 ბრძანების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის 2014 წლის 10 იანვრისათვის მოქმედი რედაქცია და არასწორად გამოიყენა ამავე პუნქტის 2015 წლის 29 ოქტომბრის ცვლილებების შემდგომი რედაქცია;
19. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლობის სრული დაცვით დარეგისტრირებული იყო სამომავლოდ შესაძენ ნივთზე გირავნობის უფლება, შესაბამისად ნივთი უფლებრივად უნაკლო იყო;
20. სააპელაციო პალატამ არ დაადგინა იყო თუ არა შემცირებული მოსარჩელის მიწის ნაკვეთის პარამეტრები, არ დაადგინა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ გადაფარვის არსებობა, გადაფარვის ზონის ოდენობა, შესაბამისად არ დაადგინა, ქმნიდა თუ არა გადაფარვის ზონა მოსარჩელის კუთვნილი ნაკვეთის შემცირებას;
21. სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, რომ არ უმსჯელია მის დასაშვებობაზე, კერძოდ, დაცული იყო თუ არა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან აითვლებოდა;
22. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი;
23. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზის და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების შედეგად გათვალისწინებული საერთო რეკომენდაციები:

1. სასამართლოებმა ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას უნდა გაითვალისწინონ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა;
2. საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსთვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტის

დასკვნას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ადმინისტრაციული ორგანო მას აფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში;

3. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიჩინოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას;
4. გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ; ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით;
5. საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით;
6. საბანკო გარანტია, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო იღებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის სახით, უნდა იყოს საიმედო და შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს მისი ანაზღაურება; ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის სამართლებრივი ნორმები საბანკო გარანტიის შესახებ;

რეკომენდაციები შრომის ურთიერთობებთან დაკავშირებულ საქმეებზე

1. დამსაქმებელს უფლება აქვს, გაათავისუფლოს მოხელე თავისი სამსახურით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებიდან იმ ვადით, რა ვადითაც არმყოფი მოხელის მოვალეობებს ასრულებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოხელის მიერ მანამდე დაკავებული თანამდებობა ვაკანტური არ ხდება. თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი ინიშნება მოხელის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან გათავისუფლებამდე;
2. კონკურსის წესით საჯარო მოხელის შერჩევას არჩევანი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ კეთდება, რის გამოც ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებისა, დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება;

3. საკონკურსო კომისია ვალდებულია, გასაუბრების ეტაპის ამსახველი რაიმე დოკუმენტი შეადგინოს, რათა სასამართლოს ჰქონდეს შეფასების საშუალება, რამდენად დაცულია საქართველოს მთავრობის №412 დადგენილებით განსაზღვრული კონკურსის პრინციპები;
4. დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით, უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა, ამასთან, აღნიშნული უფლების რეალიზებისათვის დასაქმებულს კანონმდებლობის საფუძველზე უნდა შეეძლოს შვებულების გამოყენების თაობაზე დამსაქმებლისათვის მიმართვა;
5. სამართალდამცავ სისტემაში მოქმედი სპეციალური ნორმატიული აქტები არ განსაზღვრავენ პოლიციის ორგანოებიდან დათხოვნის შემთხვევაში გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესაძლებლობას, ხოლო წინა წლის შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის წესი წესრიგდება საქართველოს შკ-ის 25-ე მუხლის შესაბამისად; აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში;
6. პირი შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია სამსახურებრივი მოვალეობების მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევები. სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებას მნიშვნელოვანი მატერიალური თუ სხვა სახის ზიანი ადგება ან/და ამით მნიშვნელოვნად ეშლება ხელი ადმინისტრაციულ ორგანოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, მნიშვნელოვნად ილახება მოქალაქეთა უფლებები, სამსახურის პრესტიჟი, დარღვევა გამოიხატება მოხელის მხრიდან მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შეგნებულ უგულბელებოებაში ან უხეშ დაუდევრობაში და სხვა. სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული;
7. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მოხელეთა გათავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული;
8. სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. მოხელე აღდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს გათავისუფლებული პირისათვის ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების ვალდებულებას, თუ აღარ არსებობს ის კონკრეტული საშტატო ერთეული, საიდანაც მისი გათავისუფლება მოხდა;
9. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება იწვევს ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულებას. ზარალის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას. ანაზღაურებას ექ-

ვემდებარება როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი;

10. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებს ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს, სახეზე უნდა იყოს სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდება.

რეკომენდაციები საჯარო რეესტრის მონაცემებთან დაკავშირებულ საქმეებზე

1. ნივთზე რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა (მისი შინაარსის გათვალისწინებით) გამორიცხავს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარეგისტრაციო დოკუმენტი გაცემული, მიღებული ან შედგენილია ყადაღის, განკარგვის უფლების შეზღუდვის ან აკრძალვის რეგისტრაციამდე, ამასთანავე, სარეგისტრაციო დოკუმენტი გაცემული, მიღებული ან შედგენილია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე. ასეთ შემთხვევაში რეგისტრირებული ყადაღა, განკარგვის შეზღუდვა ან აკრძალვა ცხადდება ძალადაკარგულად;
2. უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის კანონმდებლობით იმპერატიულად აკრძალულია ურთიერთსანინააღმდეგო რეგისტრაციის განხორციელება. მარეგისტრირებული ორგანო პასუხისმგებელია სარეგისტრაციო მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე;
3. კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა;
4. სასამართლო აქტებს შორის იერარქია არ არსებობს და კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ან განჩინება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად. როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით რაიმე ვალდებულება შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ პირს, რომელიც საქმის განხილვაში ჩაბმული იყო. თუ გადაწყვეტილება შეეხება იმ პირის ინტერესებს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმეში, ეს გარემოება, შეიძლება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი გახდეს;
5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, ანუ სანივთო უფლების ფუნქცია კი შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ანაცვლებს.

რეკომენდაციები მიწის კანონმდებლობიდან გამომდინარე საქმეებზე

1. საკადასტრო მონაცემების ზედდება გულისხმობს უძრავი ნივთის ან მისი ნაწილის საკადასტრო მონაცემების იდენტიურობას უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის ან მისი ნაწილის საკადასტრო მონაცემებთან. ამდენად, ზედდება არ გამორიცხავს ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების დაუშვებლობას. უფლებას მხოლოდ რეგისტრაცია არ წარმოშობს, რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განეკუთვნება სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. დაუშვებელია რეგისტრაციის გაბათილება მისი საფუძვლის ძალაში ყოფნის პირობებში;
2. მიწის სახელმწიფო რეგისტრაციისას ურთიერთობათა ერთ მხარეს წარმოადგენს ამ ქონების მესაკუთრე ან ამ ობიექტის მიმართ სხვა კანონიერი საწინააღმდეგო უფლების მქონე ნებისმიერი პირი: საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს და სხვა ქვეყნის იურიდიული პირი, საერთაშორისო ორგანიზაცია, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მეორე მხარეს კი – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
3. მხოლოდ ის სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია ანუ მთავარი კრიტერიუმი არის ის, რომ მიწა უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრება და იგი არ უნდა იყოს განკარგული სახელმწიფოს მიერ.

რეკომენდაციები საგადასახადო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საქმეებზე

1. გარდაცვლილი მამის სამკვიდრო ქონების მიღებით მოსარჩელე ვალდებულია შეასრულოს გარდაცვლილის საგადასახადო ვალდებულებები, იგი, ასევე სარგებლობს უფლებით მიიღოს ზედმეტად გადახდილი თანხა;
2. კამერალური საგადასახადო შემონმებისაგან განსხვავებით, გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარებისას სავალდებულოა, შედგეს საგადასახადო შემონმების აქტი. აქტის შედგენა წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს ვალდებულებას;
3. გადასახადის გადამხდელის მიმართ სამართლებრივი შედეგები დგება მხოლოდ საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე;
4. მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია პირის საქმიანობის უკვე შემონმებული საკითხის იმავე პერიოდის ხელახალი შემონმება, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მიხედვითაც პირი უკვე შემონმებულ პერიოდზე შესწორებულ საგადასახადო დეკლარაციას წარადგენს;
5. თუ საგადასახადო ორგანო, გასვლითი საგადასახადო შემონმების პროცესს არ დაასრულებს კანონით დადგენილი წესით, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი საქმიანობის შეფერხებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნება არა ის გარემოება, რომ საგადასახადო ორგანომ შემონმების თაობაზე აქტი არ შეადგინა, არამედ ის ფაქტი, თუ რამდენად განახორციელა გასვლითი საგადასახადო შემონმების ფარგლებში კანონით დაშვებული ღონისძიებები;
6. საგადასახადო ორგანო პირს უგზავნის დოკუმენტს ან/და წარუდგენს წერილობით

ან ელექტრონული ფორმით. საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულიად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე;

7. საგადასახადო დავის დაწყება დასაშვებია, თუ დადგინდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ გაგზავნია მომჩივანს, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ცნობილი გახდა მომჩივნისათვის;
8. გადასახადის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს არსებით სამართლებრივ დოკუმენტს. შემონმების აქტი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა, რომელიც იძლევა გადაწყვეტილების ფორმალური მართებულობის შემონმების შესაძლებლობას, ხოლო საგადასახადო მოთხოვნა წარმოადგენს გადაწყვეტილების შესაბამისად დაკისრებული თანხის მოთხოვნისა და გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებას. გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ქმნის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველს;
9. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად, რის გამოც საგადასახადო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მითითებული დოკუმენტების გადასახადის გადამხდელისათვის ერთდროულად წარდგენა;
10. თუ სასამართლოში საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სამართალდარღვევისათვის სანქცია შემცირდა, სასამართლო ვალდებულია, ახალი ნორმით იხელმძღვანელოს;
11. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ მომჩივანი დაამტკიცებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული.

რეკომენდაციები სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეებზე

1. მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება; ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სამივე სტადიას აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება;
2. იმ შემთხვევაში, თუ მინის ნაკვეთი არ იძლევა მშენებლობის საშუალებას, ადმინისტრაციული ორგანო უარს ეუბნება განმცხადებელს პირობების დადგენაზე, შესაბამისად ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, ზუსტი მითითებით, ამ ნაკვეთზე საერთოდ მშენებლობა შეუძლებელი, თუ კონკრეტული სამშენებლო პროექტის განხორციელება;
3. სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნებს, მათ შორის, სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებას; მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს, შესაბამისი დოკუმენტის ავ-

ტორს და მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს;

4. პირველი კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა; პირველი კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს;
5. იმ შენობა-ნაგებობებისთვის, რომლების მშენებლობა დასრულებულია დასრულებისათვის ამ ბრძანებულების ვადის დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობისათვის, რომლების მშენებლობის დასრულება ვერ განხორციელდა დასრულებისათვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაში და დასრულება დასრულების ნებართვის ფარგლებში ამ მუხლის ძალაში შესვლიდან 4 თვის განმავლობაში, ვადის დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მათი ლეგალიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდება;
6. თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოსწორდა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. დარღვევის გამოსწორება, ანუ სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოების არსებობა იწვევს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტას;
7. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ არქიტექტურის სამსახურის მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემონახვის პერიოდს.

სხვა რეკომენდაციები

1. ნორმის დროში მოქმედების არცერთი პრინციპი არ მიიჩნევა დასაშვებად ჯერ მიუღებელი, თუნდაც პროექტის დონეზე არსებული, ნორმის გავრცელებას მის მიღებამდე განსახილველ განცხადებაზე;
2. უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა დაიშვება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ამგვარი კომპეტენცია აღარ გააჩნიათ;
3. საერთაშორისო ხელშეკრულებამ (გადაწყვეტილებამ) საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულო ძალა მისი ხელმოწერის მომენტიდან შეიძინა, თუმცა ნორმატიული აქტის კანონიერ ძალას კი საერთაშორისო ხელშეკრულება იძენდა მხოლოდ შესაბამისი შიდა პროცედურის (თარგმნა და ქართულ ენაზე ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში გამოქვეყნება) დაცვის შემდეგ;
4. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით;
5. დევნილის სტატუსი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. თუ პირი იმთავითვე არ იყო დევნილის სტატუსის მატარებელი სუბიექტი (ამგვარი სტატუსის შესაბამისი წესით მინიჭების მიუხედავად), მისი მშობლების ან სხვა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემ-

თხვევაში, სტატუსი მასზე მემკვიდრეობით არ გადადის; დევნილის მემკვიდრეებზე გადადის მხოლოდ შესაბამისი ქონებრივი უფლებები;

6. კანონი ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს, არ დაიშვება მისი თვითნებური განვრცობა თუნდაც მორალური მოსაზრებებით; მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზთა შორის კანონი ითვალისწინებს ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას და არა გაუმჯობესებას;
7. დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს. ცალკეულ, საგამონაკლისო შემთხვევაში არ არის გამორიცხული მორალური და მატერიალური ზიანის განსხვავებულ მომენტებში დადგომის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული არ უარყოფს მორალური ზიანის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის მოქმედებას; ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით;
8. პირს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია გადაწყვეტილება, შეუძლია მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის, იძულებით აღსრულების მოთხოვნით და ა.შ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge